# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაკცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პრ. ასპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73. მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—6 მ. ხამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე. — სამშაბათი ენკენისთვის 7. 1920 წ. № 93 — ფასი 10 მანეთი

## ეროვნულ-დემოკრატიული

**×× პარტიის მთავარი კომიტეტი ××**

მოთავსებულია კვლავ მველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს,

**თბილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენში"**

განათლების სამინისტროს ნება დართვით

**გაიხსნება 8 თვიანი უფასო ქართული ტან-ვარჯიშული სკოლა**

სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები, საშუალო განათლებით აღჭურვილნი არა უმცირესნი 18 წ ისა და ჯანსაღნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ საშუალო სასწავლ. 6 კლასის და ბოლოს 4 კლასის კურსდამთავრებულნი. სწავლა იწარმოებს დილის 8 ს. 1 ლ საათამდე.

ყველა კურს დამთავრებულთ მიეცემათ შტატის ადგილი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლისა რესპუბლიკის სასწავლებლებში.

თხოვნები, სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, მიიღება ყოველ დღე დილის 12 დან—1 საათამდე არა უგვიანეს 15 სექტემბრისა განათლების სამინისტროში ტან-ვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის სახელზე. თხოვნასთან უნდა იქნას წარმოდგენილი მოწმობები: 1) განათლების შესახებ და 2) მეტრიკული.

სწავლის დაწყებამდე ყველა გაშინჯულ იქნებიან ექიმის მიერ.

ტანვარჯიშობის მთავარი ინსტრუქტორი.

6—5

12—1

## ცენტრობანკის კონსტანტინოპოლის განყოფილება

ცენტრობანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 12—15 ამა ენკენისთვეს მიემგზავრებიან კონსტანტინოპოლის განყოფილების დასაარსებლად ბანკის რწმუნებულნი: მმართველი პ. სურგულაძე და დირექტორი ა. გრიგოლია.

რწმუნებულები იღებენ მონდობილობას გაასაღონ სტამბოლის და ევროპის ბაზრებზე ჩვენი ქვეყნის ნაწარმოები და აგრეთვე შეიძინონ უცხოეთის ბაზარზე მთავრობის, საზოგადო დაწესებულებათა, კერძო ფირმათა და პირთა მონდობილებით სხვა და სხვა საჭირო საქონელი.

მოსალაპარაკებლად მიმართეთ ცენტრობანკში (კონსტანტინეპოლის განყოფილება) 10 საათიდან 2 საათამდე. გ ა მ გ ე ო ბ ა. 2—21—1

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები თ. შ. ფილოიანისა**

ორთავე სქესისთვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება. 3101. 15—1

**სხვაგან სად! თუ არ სასადილო „ტაშირში"?!**

(ყოფილი „ეკონომია") შტაბის ქუჩა

**პუშკინის ბაღის პირდაპირ**

ვისაუზმოთ დილ. 0-12 ს.

ვისადილოთ „ 12--6 ს.

ვივახშმოთ „ 6--12 ს.

ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები.

**ს ა ჭ ი რ ო ა**

საქმის მწარმოებელი მცოდნე ქართული ენისა, საქმის წარმოება მხოლოდ ქართულ ენაზეა. მისამართი: საავტომობილო გუნდი, ნიკოლოზის ქუჩა № 51.

2—3112—1.

ქ. ლანჩხუთში დაარსდა გ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით

## გურიის სავაჭრო კომერციული ბანკი

რომლის ძირითადი თანხა არის **ორი მილიონი მანეთი**

თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. თითო ხმის უფლებას ანიჭებს 5 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქმნას აქციის ნახევარი დირებულება 500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის 500 მან. ე. ი. თითო აქციაზე 55 მან.

საზოგადო ოფიციალურ ტელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია: 6—ორშაბათს, 7—სამშაბათს, 8—ოთხშაბათს, 9—ხუთშაბათს და პარასკევს ამა სექტემბერს: ლანჩხუთში—საურთიერთო ბანკში. თბილისში—ცენტრო ბანკში. ქუთაისში—ვლადიმერ იაგორისძე გვარჯალაძესთან. ფოთში—ერმალო ბოლქვაძესთან. ბათომში—მოსე იაგორისძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში—ელისე ანთელაძესთან. სამტრედიაში—სიმონსპირიდონისძე ქართველიშვილთან და სუფსაში—კონსტანტინე ჭანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გამოგზავნა შეიძლება ლანჩხ. საურთ. ბანკში.

გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

1—3075—7

**××●×× საზოგადოების საყურადღებოთ ××●××**

## დავით. იაგორის-ძე კალანდაძე

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სარექტიფიკაციო ქარხანა

**კონიაკის, არაყის და ლიკიორის**

**ნ. აივაზოვისა**, ყოფილი სავაჭრო სახლი ამხ. **სეილანოვებისა** პირველ მარიამობისთვიდან გადმოვიდა მის საკუთრებათ. ახლო ხანში სასმელები გამოვა **კალანდაძის** ფირმით—სადგურის ქ. № 5, სახლი სომხების სასულიერო სემინარიისა.

27

## ამერიკა და საქართველო

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ამერიკის ნოტა ანტანტის სახელმწიფოებისადმი, რომელიც შეერთებული შტატების მთავრობა თავის მეგობრულ გრძნობებს აცხადებს რუსეთის ხალხისადმი და რუსეთის სუვერენიტეტის აღდგენას ითხოვს ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზედ.

ამავე შინაარსის ცნობა გადმოგვცა ამ ორი დღის წინად ლონდონიდან დაბრუნებულმა ბ-მა. გ. გვაზავამ და დასძინა, რომ შეერთებულ შტატების მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია, მხოლოდ პოლონეთის, ფინლიანდიის და სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებაო—ეს უცნაურობა მისი აზრით, აიხსნება მხოლოდ მით, რომ ამერიკა სრულებით არ იცნობს საქართველოს. და მართლაც, რომ ფხიზელი თვალით შევხედოთ იმ ურთიერთობას, რომელიც ჩვენ აქამდე გვქონდა ოკეანეს იქითა ქვეყანასთან, დამნაშავეთ ამერიკის დღევანდელ განცხადებაში ჩვენივე თავი უნდა ვაღიაროთ:

როგორი ხასიათის იყო ეს ურთიერთობა აქამდე?

ამერიკის პირდაპირი წარმომადგენლობა საქართველოში არასოდეს არ ყოფილა და არც არავინ არ შეწუხებულა, რომ ამერიკის მთავრობასა და პოლიტიკურ წრეებში საქართველოს საკითხის ინტერესი გამოეწვიათ. ამავე დროს მეზობელი, სომხეთი, მთელს თავის ენერგიას ხარჯავდა, რომ ამერიკის პოლიტიკური აზროვნება თავის ქვეყნისაკენ მოებრუნებია და საგანგებო დელეგაციებით, თუ ფართო პროპაგანდით იქაურ პრესაში ყურადღება მიეპყრათ თავისაკენ. ტანჯული სომხეთის საცოდაობა პროპაგანდის საგნად გადაიქცა იქ, და ამერიკის ხალხი, ყოველგვარ ქველ მოქმედებას მოყვარული, ფართოთ გამოეხმაურა მას და დახმარებასთან ერთად ამერიკულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ექსკურსიებიც დაიწყო სომხეთისაკენ.

საქართველოში ამერიკის წარმომადგენლები მხოლოდ შემთხვევით თუ ჩერდებოდენ და ისიც, გზათ ერევნისაკენ მიმავალნი და ამიტომ, ცხადია, რომ სომხეთის მდგომარეობით დაინტერესებული პირნი, სომხების ინფორმაციით გაჟღენთილნი ჩვენს შესახებ, სწორ ცნობებს ვერ მიაწვდიდენ თავის ქვეყანას.

საქართველოს მთავრობას კი, რომელიც თვით იყო ვალდებული, თავისი წარმომადგენლები გაეგზავნა ოკეანეს იქითაც და ანტანტის ერთი უძლიერეს წევრთაგანი, ჩვენის საკითხით დაეინტერესებია და ფართო და სწორი ინფორმაცია მიეწოდებია ჩვენი უფლებების და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ მხრივ.

მაგრამ მთელი ენერგია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსი აქამდე იხარჯებოდა სოციალისტურ ევროპასთან დაახლოვებისათვის, და ამერიკის სოციალისტები კი, მაინც და მაინც ისე ცნობილნი არ არიან საქართველოს მენშევიკებისათვის, ხოლო იქაურ მართველ წრეებისათვის სად მოიცლიდენ, როდესაც ინგლისში და საფრანგეთშიც კი ვერ ინახულეს, სადაც ჩვენი ოფიციალური წარმომადგენლები ერთი მეორეს ყოველთვე სცვლიან.

ასეა, თუ ისე დღეს ჩვენთვის აშკარაა, რომ ამერიკას ძალიან ცალმხრივი, ან უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, არავითარი წარმოდგენა არა აქვს საქართველოს შესახებ და საქართველოს მთავრობის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს სათანადო პირები გააგზავნოს შეერთებული შტატების მთავრობასთან და ფართო პროპაგანდა გასწიოს ამერიკის პრესაში და საზოგადოებრივ წრეებში.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ამერიკის ხალხმა ახლო გაიცნო საქართველოს საკითხი, ჩვენი ერის ისტორიული კულტურული მისწრაფებანი და ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი, შეუძლებელია რომ იგი არ დაინტერესდეს საქართველოთი და თავისი დამხმარე ხელი არ გამოგვიწოდოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

# დღეს

ბოლშევიკური ცნობით ლიტვაში პოლონეთის ლაშქარი შევიდა.
პოლონელი ჯარისკაცები საბჭოთა მთავრობის ტერიტორიაზე იბრძვიან.
რუსეთ-პოლონეთის საზავო კონფერენცია რიგაში გადაიტანეს.
საფრანგეთმა დიდი ლიბანი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.
საფრანგეთსა და ჰუნგრეთს შორის საბოლოვო შეთანხმება მოხდა.
სკანდინავიის სახელმწიფოებში გაჩდა ახალი სენი ,,ძილით ავადმყოფობა", რომელიც ავადმყოფთა 50 პრც. ჰკლავს.
მოკავშირეები სომხეთზე მანდატს საბერძნეთს აძლევენ.

## წერილები:

მეთაური: ამერიკა და საქართველო.
სიძვირე.
მემედ აბაშიძე: მოგონებანი და მწარე სინამდვილე.
ტ. ტაბიძე: ,,ერთობის'' კლევრეტებს.
ფელეტონი: ბ. გ. რუსეთის პრობლემა და კავკასია.
ჩვენი კორესპონდენტები:
მარტყოფი.


მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ.

## ,,ახალ სხივზე"

გაზეთი გამოდის გრიგოლ გიორგაძის რედაქტორობით, ღირს თვეში 20 მან. ფული უნდა გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, პეტრე დიდის ქუჩა ,,ახასხივს'' 6—3


# სიძვირე.

სიძვირე, ცხოვრების გაძვირება დღითი-დღე იზრდება. მას ადგილი აქვს არა მარტო ჩვენში არამედ ყველგან, მთელს ევროპაში.

მაგრამ მას ყველგან ერთნაირად არ ებრძვიან. ევროპაში, კერძოთ ინგლისში, და ამერიკაშიც ზომებია მიღებული თვით წარმოების გაიაფებაზე, რომ ამით ნაწარმოები ბაზარზე უფრო იაფი გახდეს. ამისთვის აიაფებენ 1) ნედლ მასალას და 2) საწარმოა ძალას—მუშა ხელს. თვით მუშებიც დაინტერესებული არიან წარმოების გაიაფებაში და ხელფასის მომატებაზე უარს ამბობენ. ეს აიხსნება ორი მიზეზით, ერთი მით, რომ ეკონომიურ თ წინ წაწეულ ქვეყანაში მუშათა კლასი შეგნებულათ უყურებს ეკონომიურ მოვლენებს. იგი უფრო დაწინაურებული და განვითარებულია. მეორე ის, რომ თვით კაპიტალისტთა წრეც ორგანიზაციულათ მოწყობილი და თავისი გამოცდებული პრაქტიკის საერთ სახალხო წარმოებასთან შესისხლხორცებულია. მას თავისი ინტერესი დაპირისპირებულ კი არა აქვს სახელმწიფოსა და სახალხო მეურნეობასთან არამედ შენაწევრებული. ეს მას აძლევს მეტ სიძლიერეს სოციალურ ცხოვრებაში. კაპიტალისტური წარმოება, ალებ მიცემობა იმდენათ ფეხგადგმულია დასავლეთ ევროპის ცხოვრებაში სწარმოებს ისეთ უკვე ჩამოყალიბებულ და საერთოთ მიღებულ ფორმებში, რომ ის შეადგენს აუცილებელ შინაარსს სახალხო სამეურნეო ცხოვრებისას. დაზიანება წარმოებისა მოკავშირეთ იგრძნობა მთელი მასის მიერ და ჰპოებს მყისვე გამოძახილს მთელს ხალხში, რადგან ინტერესები, დარგთა ურთიერთობა მჭიდროთ გადახლართული ურთიერთშორის.

ჩვენში კი ყველაფერი ეს სხვაგვარათ წარმოებს. მუშათა კლასი არაა ეგრერიგათ შენაწევრებული თავისი შეგნებით სახალხო მეურნეობასთან. უკანასკნელს იგი უყურებს როგორც გარეშე ობიექტს თავის კლასობრივ ინტერესების დასაკმაყოფილებლათ. იგი ორგანიზაციულათ ყველაზე ძლიერი და უკეთესათ მოწყობილია. მუშათა კლასი მძლავრობს, იმონებს სხვა გატეგორიათ, მაგრამ იყენებს თავის ძალას კლასობრივ ვიწრო ინტერესებისათვის. ეს მარტო მუშათა კლასის ბრალი არაა. ეს ჩვენი კაპიტალისტთა უორგანიზაციობის და ეკონომიური ჩამორჩენის ბრალიცაა. ჩვენი ბურჟუაზია ახლათ ფეხადგმული და წელ სუსტია. მას უფრო ეადვილება პატარა საქმეები და მოკლე ვადიანი დატრიალება (оборотъ) ორგანიზაციულადაც მოუწყობელია: არც აქციონერული საზოგადოებები, სინდიკატ ტრესტები ჩვენ არა გვაქვს, ჩვენ არ გვაქვს არც ერთი მოწყობილი დამმუშავებელი მრეწველობა, მაგ. მაშინებით მოწყობილი მსხვილი სართავ საქსოვი წარმოება, ან ტყავეულების ქარხანა, ან ქიმიური წარმოება. ჩვენ გვაქვს მხოლოდ წვრილი წარმოებები, რომელნიც ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებენ ადგილობრივ ბაზრის მოთხოვნილებას. ვერც რაოდენობისა და ვერც ღირსების მხრივ (თამბაქო, ღვინო და სასმელები გამონაკლისია) ესენი ჩანასახია მომავალ გაშლილ ქარხნისებურ მრეწველობისა. ამისათვის ჩვენი ბურჟუაზია სუსტია და სოციალურ ცხოვრებაში მოკლებულია სათანადო მნიშვნელობას. ცხადია, რომ სიძვირესთან ბრძოლაც უფრო ძლიერმა და გავლენიანმა წრემ უნდა ითავოს—მუშათა კლასმა. ნედლი მასალა თვით ჩვენშია. მისი გაიაფება თუ გაძვირება დამოკიდებულია მუშის ხელფასზე. რაც შეეხება ჩვენს ნაწარმოებს, ისიც ძვირდება ან იაფდება სხვათა შორის ხელფასის მიხედვითაც.

ასე რომ, თუ გულწრფელათ სურთ ბრძოლა სიძვირესთან, უნდა დაიწყონ ერთ ერთი საშუალებით, რომელიც ყველაზე უფრო ადგილოს ხას ჩვენში დამზადებულ საქონლის სიძვირის მიზეზებთან. მაგრამ ხელფასის გაიაფებაც მხოლოთ ერთ ერთი საშუალებაა და არა გადამწყვეტი ფაქტორი. აი რისთვის.

რა რიგათაც უნდა გავაიაფოთ ჩვენი ნაწარმოები, ჩვენს ბაზარს ეს საშუალება არ ეყოფა, რადგან ჩვენი მოთხოვნილების 0,9-ს აკმაყოფილებს უცხოეთიდგან შემოზიდული საქონელი—ფაბრიკატი. ჩვენ გაცილებით მეტი შემოგვაქვს ვიდრე გაგვაქვს. ამისათვის ჩვე ვვალიანდებით, და ჩვენი კრედიტის ქაღალდებს—ბონებს ნდობაც ეკარგება. თუ ამ პროცესმა, მეტის შემოზიდვამ და ნაკლების გაზიდვამ ე. ი. ჩვენმა დავალიანებამ იზარდა, ჩვენ მალე ველარ შევსძლებთ უცხოეთიდან საქონლის ყიდვას, იმ ზომამდე ნდობა დაკარგული იქნება ჩვენი ნიშნები. ამას ხელს უწყობს საქონლის პორტში გადმოქვირთვისა და ვაგონებში ჩაჭვირთვის ხელფასის საშინელი სიძვირე. სადგურიდან საქონლის საწყობში მიტანა ჯდება თითქმის 0,1 ან კიდევ 0,05. ე. ი. გამეორდება ჩვენში ის, რასაც ადგილი აქვს ეხლა რუსეთში და ადგილი ქონდა ყველგან და ყოველთვის, სადაც და როდესაც ხანგრძლივათ და მხოლოდ სოციალისტები განაგებდენ ქვეყანას (საფრანგეთი კომუნის დროს).

ამას მოუმატეთ მომარაგების სამინისტროს ძირიან-ფესვიანათ შემცდარი პოლიტიკა: საექსპორტო საქონლის სამინისტროს მიერ გატანა, უცხოეთის ვალიუტის შეძენა საკუთარ ვალიუტის გასაუმჯობესებლათ ,,მონოპოლიები'' რომ ქვეყანას შველიდეს კომუნისტური რუსეთი ყველაზე მდიდარი და ეკონომიურათ ძლიერი ქვეყანა იქნებოდა, რადგან არსად საქონლის „მონოპლიზიციას" ისე დაუზოგავათ არ ატარებენ ცხოვრებაში, როგორც რუსეთში. არც ექსპორტი შეიძლება ისე ერთიანათ მოიგდოს ხელთ სახელმწიფომ როგორც ეს რუსეთშია შესაძლებელი. მაგრამ რუსეთი ილუპება დღითი დღე. მომარაგების სამინისტრო ამ მაგალითს ჯერ ვერ ჩაუგდია საგონებელში. პოლიტსანმა გ. ერაძემ კეთილშობილურათ იმუშაოს დღე და ღამე მ ს, გორდიონის ნასკვენს ვერც გახსნის და ვერც გასჭრის. ვერ გახსნის, რადგან ის მ. სამინისტროსათვის ფრიად რთულია, ვერ გასჭრის, რადგან ხმალს ყუთით სცემენ და არა პირით.

განა უცხოეთის ვალიუტის შეძენით მომარაგების სამინისტროს შეუძლია ჩვენი ვალიუტის გაუმჯობესება? ეს რომ მხოლოთ გულუბრყვილოთა რწმენა შეიძლება იყოს, ამის დამტკიცება ადვილია ავიღოთ, მ. ს-მ შეიძინა ათი მილიონი ინგლ. გირვანქა სტერლინგი. უკანასკნელ ყველი ბანკნოტია (ოქრო ბაზარზე არაა) ე. ი. კრედიტის ქაღალდები, ინგლისის ბანკსადმი ნდობით გამოცემული და ღირებულებაში დაცული. განა ვისმეს უფლება აქვს ინგლისის ბანკის კრედიტი უზრუნველჰყოს სხვა ვალიუტა იმავე ბანკის დაუკითხავად? ბანკნოტები ღირებულებაშია, რადგან მისი პასუხის მგები ინგლისის ბანკია. უკანასკნელი პასუხის მგები არაა იმ ქაღალდების და ნიშნების, რომელიც მოქრილი და გამოშვებულ იქნება ვინმესაგან მის დაუკითხავათ. ბანკი პასუხის მგებია თვით ბანკნოტებზე და არა ბანკნოტების საშუალებით მიმხდარ რაიმე მანიპულაციებზე, რომლის გეგმა, განზრახვა და ცხოვრებაში გატარება ბანკისათვის უცნობია. მ. ს-ს გეგმა მაშინ იქნებოდა სწორი, თუ ინგლისის ბანკი პასუხს აგებდა განსაზღვრულ თანხით ჩვენში გამოცემულ ნიშნებზე. ეს სულ სხვაა. არამთუ ბანკნოტები, ოქროს ფულიც რომ შეიძინოს მ. ს-მ ის ის იმით საგარანტიოთ ვერ ისარგებლებს, თუ არ გადაადნო ე. ი. მოიხმარა როგორც ოქრო-ლითონი ე. ი. უნდა შეიძინოს ოქრო ლითონათ, რაც ადვილი საქმე არ გახლავთ.

მ ს-მ პირიქით ხელი შეუწყო ჩვენი ვალიუტის დაცემას, რადგან მან გაამლიერა უცხო ვალიუტის როლი მისი ძებნა—შეძენა.

ფინ. და ვაჭ.-მრეწ. სამინისტროს არ უნდა გაეშვა ხელიდან არც ვალიუტის საქმე და არც უცხოეთთან ვაჭრობის ხელმძღვანელობა. ეს სამინისტრო ვალდებული იყო და არის მიიღოს ნაგვიანევათ მაინც ის წესი, რომელიც ანალოგიურ პირობებში იყო და არის სხვა ქვეყნებში: გამოსწორება უცხოეთთან ვაჭრობის ბალანსისა და ვალიუტის საქმის არა სახელმწიფოს მიერ უხეიროთ წამოწყებულ კომერციით, არამედ არსებულ წარმოებათა გაძლიერებით და გაფართოებით და ახალთა წარმოშობით, არა ექსპორტის მონოპოლია აკრძალვით, არამედ მისი მოწყობა-წაქეზებით. ამაზე შემდეგ.

სიძვირე—დიადი მოვლენაა რომელშიაც გადახლართულია უთვალავი ძაფები ჩვენი სახალხო მეურნეობისა და სოციალ პოლიტიკურ სხეულისა.

# ამერიკა, რუსეთი და საქართველო

ბათომის გაზ. ,,მთლ. საქართვ." მოთავსებულია ის ნოტა, რომელიც შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გადაუცია იტალიის ელჩისათვის ვაშინგტონში 10 აგვისტოს 1920 წ.

მოგვყავს ის ადგილი, რომელიც ეხება რუსეთის და საქართველოს: შეერთებული შტატები ჰფიქრობს, რომ მეგობრობა და პატივისცემა თხოულობს, რომ რუსეთის ინტერესები მზრუნველობით იყვნენ შენახული, რაც შეიძლება გადადებულ უნდა იქნას ის საკითხები, რომელიც რუსეთისთვის აქვს სასიცოცხლო ინტერესი, განსაკუთრებით საკითხი რომელიც ეხება, რუსეთის სუვერენიტეტს ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე. თავის პასუხში ლიტვის ეროვნულ საბჭოსადმი 15 ოქტომბერს 1919 წ. შეერთებული შტატები ხელმძღვანელობდენ სწორეთ ამ მეგობრობის და მოვალეობის პატივისცემის განზრახვით იმ რუსეთის მიმართ, რომელმაც თავისი თავგანწირვით და მამაცობით დიდი საქმე გააკეთა მოკავშირეთა გამარჯვებისთვის ამიტომ იყო, რომ შეერთებულმა შტატებმა უარი სთქვეს ბალტიის ზღვის რესპუბლიკების რუსეთისგან დამოუკიდებლობის ცნობაზე. იგივე აზრია გაზიარებული ზოგიერთ იმ განზრახვებზე და გადაწყვეტილებებზე, რომელზედაც რუსეთის თანხმობა არ არის.

თანახმად ამ უმთავრესს ისტორიულ ხაზისა, შეერთებულმა შტატებმა თავი შეიკავეს და დასტური არ მისცემს პარიზის უზენაესს საბჭოს გადაწყვეტილებას, რომ ეცნოთ ეგრეთ წოდებული საქართველოს და აზერბეიჯანის რესპუბლიკები და სათანადო ინსტრუქცია გაუგზავნეს თავის წარმომადგენლებს სამხრეთ რუსეთში კონტრ-ადმირალ მაკ კულლას და ბოლოს, თუმცა სიამოვნებით ეცნო შეერთებულ შტატების მთავრობას სომხეთის დამოუკიდებლობა, მაინც თან დასძინა, რომ საბოლოო გამიჯვნა საზღვრებისა უნდა მოხდეს რუსეთის თანხმობით, რადგან რუსეთი ამაში დაინტერესებულია, და საკმაოდ დიდი ტერიტორია ამ რესპუბლიკისა ეკუთვნის რუსეთის იმპერიას და აგრეთვე ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ თუ სომხეთს უნდა, რომ დამოუკიდებელი და თავისუფალი იყოს, უნდა უზრუნველჰყოს კეთილი განწყობილება რუსეთის მიმართ.

ამ მაგალითებიდან აშკარაა როგორი ლოიალურ მეგობრულ გრძნობის სიმტკიცით ხელმძღვანელობდა შეერთებული შტატების მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკაში რუსეთისადმი.

ჩვენ არ გვინდა, სანამ რუსეთი იმყოფება ასეთ ძნელ მდგომარეობაში, სანამ ჰყავს ისეთი არა წარმადგენლობითი მთავრობა, რომელიც მხოლოდ უხეშ ძალას ემყარება, რუსეთი კიდევ უფრო დასუსტდება პოლიტიკურ დანაწილებით, რომელიც ბევრის ინტერესს, მხოლოდ არა თვითონ რუსეთისას, ჩემი მთავრობა, რასაკვირველია დაინტერესებულია რომ სხვა მოკავშირე სახელმწიფოებთან გულითად თანხმობით მიაღწიონ ზოგიერთ ევროპის კითხვების მშვიდობიან გადაწყვეტილებას და ამიტომ მხარს დაუჭერს ყველა ასეთ ნაბიჯებს.

მას ჰგონია, რომ ბოლშევიკურ მთავრობის ცნობა ყველაზე ნაკლებათ ნიშნავს მშვიდობიანობის დამყარებას და ამიტომ ეჭვით უყურებს ყოველ ნაირ მოლაპარაკებას და საქმის დაჭერას საბჭოთა რეჟიმთან. გარდა იმ ვიწრო საზღვრებისა, რომელნიც ითხოვენ მხოლოდ დროებით მოლაპარაკებას".

# დეპეშები

## ინგლისური პრესა.

**პოლონეთის იერიში.**

,,დეილი ნიუსი'' აღნიშნავს რომ ნაყოფიერ კონტრშეტევებმა შეიძლება პოლონელები გაიტაცოს, რაც თვით პოლონეთზე ცუდად იმოქმედებს. გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს პოლონეთზე, შეიძლებს პოლონელების თავის დროზე შეჩერებას. მარშალი ფოში კატეგორიულად ამტკიცებს, რომ პოლონელების მიზანი წითელ არმიელთა პოლონეთიდან განდევნაა და არა რუსეთის ტერიტორიის დაპყრობა.

**მეფე კონსტანტინე სასამართლოში.**

მთავრობამ გადასწყვიტა ყოფილი მეფე კონსტანტინე გასასამართლებლად სამხედრო საგანგებო სასამართლოს გადაეცეს. ბრალდებულის სკამზე იქნება მისი ყველა თანამოაზრეები, რომლებიც ახლა შვეიცარიაში ცხოვრობენ.

ათინაში მთავრობამ დაიჭირა ვენიზელოსის წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობისათვის 47 კაცი. ყველა სამხედრო სასამართლოს გადაეცა.

**ბულგარეთის შუამდგომლობა ერთა ლიგაში შესვლელად.**

ბულგარეთის მთავრობამ გადასწყვიტა სთხოვოს ერთა ლიგას, რომ ბულგარეთი ერთა ლიგის წევრათ მიიღოს.

**ენზელის დაცლა.**

სარწმუნო ცნობების მიხედვით ბოლშევიკებს ენზელი დაუცლიათ. ბოლშევიკური ძალები ვრანგელთან საბრძოლველად სამხრეთის ფრონტზე გაუგზავნიათ.

## ფრანგული პრესა.

**ერთა ლიგის ძალაუფლება.**

,,ფიგაროს'' ცნობით ერთა ლიგას მიენიჭა უფლება კონტროლი გაუწიოს ყველა იმ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალას, რომელიც, ერთა ლიგაში შედის ერთა ლიგამ უნდა გაუწიოს ანგარიში გეოგრაფიულს და სხვა პირობებს, ომის დასრულების შემდეგ ამისდა მიხედვით უნდა გამოიმუშაოს, თუ რომელ სახელმწიფოს რამდენი ჯარი უნდა ჰყავდეს.

**ლიბანის დამოუკიდებლობა.**

სექტემბრის პირველს, ახალ სახელმწიფოს ყოველ კუთხიდან შეკრებილ აღფრთოვანებულ ხალხის თანდასწრებით, გენერალმა გურომ დიდი ლივანის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ხალხმა საფრანგეთს დიდი მადლობა განუცხადა.

**მესამე რესპუბლიკის დღესასწაული.**

საფრანგეთის გაზეთების ყველა წერილი საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის 50 წლის შესრულებას ეხება რადგანაც ეს დღე სედანის კაპიტულიაცის დღეს ხვდებოდა, ამიტომ დღესასწაული 1918 წ. საპატიო ხელშეკრულების აღსანიშნავად სექტემბრის 11 ისათვის გადაიდვა.

**საზღვრების საკითხი.**

პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი საპეგა ფიქრობს, რომ საზღვრების საკითხი ადვილად მოწესრიგდება, ვინაიდან ბოლშევიკები კერზონის მიერ წამოყენებულ პირობებზე თანახმანი არიან. ვილნოს საკითხის გადასაწყვეტად ლიტვასთან საგანგებო მოლაპარაკება დაინიშნება.

**მოკავშირენი და რუსეთი.**

რეიტერის სააგენტოს ცნობით მილიერანს ლუკერნის მიტინგზე შემდეგი უთქვამს: ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ მშვიდობიანობის დასამყარებლად. მოკავშირეთა შორის აზრთა სხვა და სხვაობა ბუნებრივია, მაგრამ აზრთა ეს სხვა და სხვაობა სრულებითაც არ ასუსტებს ერთმანეთისადმი პატივისცემასო.

ბრიტანეთის მუშათა ,,მოქმედების საბჭომ'' მოაწყო მრავალი მიტინგი რუსეთთან ზავის ჩამოგდების სასარგებლოდ. ამავე მიზნით საბჭომ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიასთან მოლაპარაკება გამართა. ამის შესახებ ,,დეილი მეილის'' ცნობით ლოიდ-ჯორჯს განუცხადებია: ინგლისის მუშები ღია კარებში იჭრებიან, ვინაიდან მთავრობაც ღებულობს ზომებს ზავის ჩამოსაგდებად. ყოველი ცდა, რომ მთავრობას უკარნახონ ესა, თუ ის პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა არღვევს ინგლისის დემოკრატიულ კონსტიტუციას და ამის გამო მთავრობა ასეთ ცდას ყოველთვის შეებრძოლებაო. გაზეთის ცნობით, ლოიდ-ჯორჯს მოკავშირეების დამოკიდებულება რუსეთთან ასე დაუსურათებია: არც ინგლისი და არც საფრანგეთი არ ჩაერევა რუსეთის შინაურ საქმეებში, თუ რუსეთიც თავს შეიკავებს და არ ჩაერევა სხვა სახელმწიფოების საქმეებში. თუ პოლონეთ-რუსეთს შორის ზავი შეიკრა, როგორც არ უნდა იყოს ზავის პირობები მათ ურთიერთ დამოკიდებულებაში მაინც არ ჩაერევიან.

უნგრეთის მთავრობის დასტურით და ინტერესებულ პირთა მიერ წინასწარ იყო განხილული. იგივე გაზეთი მცირე ანტანტის შესახებ ამბობს: საფრანგეთი მოხარულია იმით, რომ უნგრეთის აგრესიულ გამოსვლების თავიდან ასაცილებლად პრაგა, ბელგრადი და ბუქარესტი საერთო ნაბიჯების გადადგმას სცდილობენო.

**ალბანეთი და სერბია.**

თანახმად სკუტარიდან მოსულ ცნობებისა, ალბანეთის ჯარს კასტრატოსთან მოუგერებია სერბიის ჯარის მკაცრი შეტევა.

**ამერიკის შრომის კონფერენცია.**

ამერიკის შრომის კონფერენციამ გადასწყვიტა მოიწვიოს თავისი მომხრეები, რომ მათ ლაფაიეტის და მარნის ბრძოლის ორი წლის შესრულების აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღონ.

**საოკუპაციო ზონაში.**

ფრანგული პრესა იუწყება: სექტემბრის—7—და 8 მილიერანი და ფოში რეინის პროვინციაში მყოფ საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებს დაათვალიერებენო.

**ხარკოვის კონფერენცია.**

პოლონეთის დელეგატებს მინსკი სექტემბრის 3 უნდა დაეტოვებიათ. მათი გამოგზავრების წინ შეადგინეს სხდომის ოქმი, რომელშიაც ოფიციალურად არის აღნიშნული, რომ მოლაპარაკება შეწყვეტილი არის მხოლოდ დროებით.

**კონფერენცია რიგაში.**

პოლონეთის მთავრობამ ჩიჩერინისაგან მიიღო რადიო დეპეშა რომლითაც იგი რიგაში მოლაპარაკების გადატანაზე თანხმობას აცხადებს.

**მუსულმანების დღესასწაული.**

ბეირუთიდან იუწყებიან: მუსულმანების დღესასწაულმა ბაირამმა რომელშიაც საფრანგეთის მართველმა პირებმაც მიიღეს მონაწილეობა და საჩუქრები და ფქვილი დაარიგეს, საფრანგეთის სასარგებლო მანიფესტაციის ხასიათი მიიღო. ისლამური პრესა განსაკუთრებულ მადლობას გამოსთქვამს იმის გამო, რომ პარიზში მუსულმანური უნივერსიტეტი და მინარეთი ააგეს. ემირ ფესალის გამგზავრების შემდეგ, ბეირუთში სრული სიწყნარეა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საჰაერო ესკადრილიამ დამასკის მახლობლად ბედუინთა რამდენიმე მტრულად განწყობილი რაზმი გაფანტა.

**ახალი სენი**

სკანდინავიის ნახევარ კუნძულის სახელმწიფოებში თავი იჩინა ახალმა სენმა ,,ძილის ავადმყოფობამ'' ამ სენით ავადმყოფთა 50 პროც. კვდება. ახალი სენით მრავალი დაავადმყოფდა სტოკჰოლმსა და გესენბორგში,

**თვეში რამდენი კვდება რუსეთში**

ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილია პეტროგრადის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის პროფესორ ცეიდლერის მოძღლება- მოვითხოვ მიექცეს ყურადღება იმ შემაძრწუნებელ მდგომარეობას, რომელშიც დღეს რუსეთი იმყოფება. არ შემიძლიან გავჩუმდე, როდესაც ვუყურებ რუსეთის ტანჯვასა და მათხოვრობას, ნამეტნავად კი პეტროგრადისას. პეტროგრადის მცხოვრებთა ბრძოლა შიმშილთან [illegible] თან, თვეში ათი [illegible] მთლად იმოწყვეტის შიმში, ხახადისა და სხვა ავადმყოფობათა გავრცელების გამო, მომავალში ატარ უნდა შეიწყროს გაათლებულმა კაცობრიობამ.

**დახმარება პოლონეთს.**

კალედან მიღებული ცნობით ინგლისს გემი, რომელიც საფრანგეთმა დაიქირავა გააგზავნა დაიკავეს რასაც პოლონეთისათვის 1000 ტონი სამხედრო მასალა მიჰქონდა.

**ტყვე წითელ-არმიელები უნგრეთის წინააღმდეგ.**

იუწყებიან: რუსეთთან დაბრუნებულ ტყვე უნგრელ ოფიცრების ცნობით გამორჩენილ უნგრელ კომუნისტს ბელა-კუნს (დამნაშავეებულია) ტყვე უნგრელებისგან უნდა შეადგინოს ჯარი უნგრეთის ახლანდელი მართველობის დასახრჩობად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. ბელაკუნმა ეს განაცხადა პეტროგრადში რუს სამხედრო ტყვეების მიმართ წარმოთქმულ სიტყვაში.

**ქვანახშირის შემოზიდვა.**

საზოგადოებრივი მუშაობის მინისტრმა ტროკემ აცნობა მინისტრთა საბჭოს, რომ აგვისტოს 28-მდე 1. 537. 004 ტონი რურის ქვანახშირი არის შემოტანილი. თუ მხედველობაში მივიღეთ სამი დღის წინეთ შემოტანილ ქვანახშირს მთელი რაოდენობა შემოტანილი ქვანახშირისა 1. 600. 000 ტონი იქნება.

**საფრანგეთი და ჰუნგრეთი.**

გაზეთი ,,მტანი'' ბეჭდავს ვენიდან მოსულ დეპეშას: სავაჭრო ხელშეკრულება საფრანგეთსა და ჰუნგრეთ შორის უკვე ხორციელ ფაქტია. ცნობილია რომ საფრანგეთს მაინც და მაინც არ მოსწონდა კავშირი ჩეხო სლოვაკიასა და და სერბო-ხორვატ სლოვაკიას შორის და იგი სცდილობდა რუმინიის პატარა ანტანტაში შესვლისათვის ხელი შეეშალა. ,,მატენი'' არჩევს რა ამ დეპეშას, ადასტურებს მის საერთო შინაარსს. გაზეთი უარყოფს იმას, თითქოს საფრანგეთსა და ჰუნგრეთის შორის დადებული ხელშეკრულება მცირე ანტანტის წინააღმდეგ იყოს მიმართული. როდესაც, ამბობს მატენი ბენეშმა წინადადება მისცა რუმინიას ამ კავშირში მიეღო მონაწილეობა, უკანასკნელმა მოითხოვა, რომ პოლონეთიც და საბერძნეთიც მოწვეულნი ყოფილიყვნენ ამ კავშირში.

**საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა.**

საფრანგეთი სიამოვნებით შეხვდება პატარა ერების გაძლიერებას. მცირე ერების კავშირი უზრუნველყოფს მათ პოლიტიკურ და ეკონომიურ განვითარებას.

**კონფერენცია რიგაში.**

თანახმად ვარშავიდან მოსულ დეპეშისა საზავო მოლაპარაკება მოხდება რიგაში.

პოლონეთის ფინანსთა მინისტრი გუშინ პარიზს ჩავიდა. მისი მიზანია საფრანგეთთან ფინანსიურ ეკონომიურ ხელშეკრულების დადება.

**ოსმალეთთან ხელშეკრულება.**

,,ჟურნალის''-ს კორესპონდენტს საუბარი ქონდა მუსტაფა ქემალთან, რომელმაც განაცხადა ოსმალეთის ხელშეკრულება ეს სასიკვდილო ძალდობაა მე მთელი მუსულმანური ქვეყანა მემაგრებს ზურგს. მაქვს მუდმივი კავშირი როგორც ფეისალთან, ისე ჰუსეინთანო.

**ლივანის საკითხი.**

მილიერანმა დივანის დელეგაციას მისწერა წერილი, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ დიდ ლივანს ყოველთვის შეუძლია მიიღოს საფრანგეთიდან დახმარებაო.

**დუნაის კონფერენცია.**

თანახმად ,,ექსცესიის'' ცნობისა დუნაის კონფერენცია სექტემბრის 6 შესდგება.

**საფრანგეთისა ჰუნგრეთის შეთანხმება.**

,,ტანი'' მოწინავე წერილში სწერს საფრანგეთსა და ჰუნგრეთის შორის დადებულ ხელშეკრულების საგანი არ ყოფილა ის რომ საფრანგეთის ფინანსისტებს რაიმე სხვა და სხვა სარგებელი ენახა ჰუნგრეთში. ის საქმე რომელის შესახებაც ლაპარაკი

## გერმანული პრესა.

**რუსეთი და გერმანია.**

(დასაწყისი არ მივიღეთ) სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობით მდგომარეობა მეტად გართულებულია. მდგომარეობას განსაკუთრებით ის ართულებს, რომ რკინის გზის ადმინისტრაციას აქვს მახლობელ მომავალში ენერგიული ღონისძიებანი მიიღოს საბჭოების წინააღმდეგ. თუ მრავალი დაითხოვეს, მაშინ აუცილებელია სერიოზული კონფლიქტი. ,,ვორვერტსისა'' და

ფერეინპატში“ დაბეჭდილია ამსტერდამის ცენტრალურ კომიტეტის მოწოდება რომელშიც ყველა ქვეყნის რკინის გზის მოსამსახურეთ მოუწოდებენ ფხიზლად ადევნონ, რათა მომავალში სამხედრო მასალა არ იქმნას გადატანილი.

# მოსკოვის ცნობები.

**პოლონეთის ფრონტი.**

დასავლეთის ფრონტის ჯარებს ებრძანათ თავის დროზე დასცალონ ლიტვის ტერიტორია, ამ ჟამად პოლონეთის ჯარი კვლავ იჭრება ლიტვის ტერიტორიაში და მის დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნიან. წითელ არმიელები აძულებულნი გახდნენ ეპასუხნათ მათთვის ლიტვის ტერიტორიაზე. ყოველი წითელ არმიელი დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ ბურჟუაზიული პოლონეთი, როგორც ჩვენთვის, ისე ლიტვის ხალხისათვის საერთო მტერს წარმოადგენს. პოლონელების განადგურების შემდეგ ჩვენი ჯარები დასტოვებენ ლიტვის ტერიტორიას, სადაც ჩვენი ჯარები შევლნენ, როგორც განმაავისუფლებელი და გამოვლენ, როგორც მეგობრები.

ვრანგელის ბანაკში მონარქიულ აგიტაციას ეწევიან სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოს ლოზუნგით. მეფის კარის კაცს სულ მეფის ტახტი ელანდება. ვრანგელმა დენიკინივით დემოკრატიულ ფრაზებით და „ღმერთი მეფესა ფარავდეთ“ გაათავა. მოტყუებული ყაზახები მალე დაინახავენ, თუ სად მიჰყავს ისინი მეფის გენერალს.

# იტალიის ცნობები.

**რუსეთ-პოლონეთის ზავი.**

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საჯაროდ განაცხადა: რუსეთ-პოლონეთის ზავის შეკვრას მოველით მომავალ კვირაში, პოლონეთის დელეგაცია რიგაში 7 ენკ. გაემგზავრებაო.]

**პრემიერების დარბაზი.**

მილიერანი ციერსალში დიდხანს ესაუბრა ბელგიის კაბინეტის თავმჯდომარე დელაკრუას. მათ შორის რუსეთ-პოლონეთის საკითხის შესახებ სრული შეთანხმება მოხდა.

**ბელსკის აღება.**

პოლონელები იუწყებიან ბოლშევიკების კონტრ-იერიშები მოვიგერიეთო. ბელსკი პოლონელებმა აიღეს.

**მეფე კონსტანტინე.**

ათინიდან იუწყებიან. საბერძნეთის მთავრობამ სთხოვა შვეიცარიის მთავრობას თავის ტერიტორიიდან გააძევოს მეფე კონსტანტინე.

# სტამბოლის ცნობები.

**შაერთებული ნებო სომხეთს.**

„ჯორნალ დიარიო“ იუწყება: ევროპის სომხთა დემოკრატიულმა პარტიამ გადასწყვიტა მიართვას სომხეთს 50 ეროპლანი. მთელ ესკადრის დაერქმევა დემოკრატიული სომხეთის საჰაერო ფლოტი“. (დ. ს.)

## ლიონის ცნობები.

**ზემო სილეზიის საკითხი.**

ამას წინად ხელშეკრულება დაიდვა პოლონეთისა და და გერმანიას შორის ზემო სილეზიაში წესიერების დამყარების შესახებ. „ტანი სწერს: ახალი არეულება პირველ შემთხვევისთანავე იჩენს თავს, არეულობა რომ არ მოხდეს, საჭიროა მომხდარ არეულობის სახისა და მიზეზების გაგება. ამ მხრივ საყურადღებოა პოლონეთის კონსულის მოხსენება ოპელში. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ არეულობის მოსახდენათ სპეციალურად შექმნეს ბანდა. ბანდა შექმნეს უცხოელებისა და სხვა ქალაქების მცხოვრებთაგან. ამ ბანდას აქტიურად მხარს უჭერდა პოლიცია. ისინი წინად აღმოსავლეთ პრუსიაში მუშაობდენ. ბანდას ორი ჯგუფი მეთაურობდა, რომელიც საიმპერიო მთავრობას ემორჩილებოდა, ერთ ჯგუფს გენერალ ლიუდენდორფი ხელმძღვანელობდა, მეორეს ზემო სილეზიაში არსებული სამშობლოსათვის თავდადებულთა საზოგადოება. ჯგუფები მოქმედებდენ აშკარათ და სარგებლობდენ ბერლინის მთავრობის მფარველობით. ბერლინის მთავრობას ერთ გვარ ცენტრალური ადგილიც კი ეკავა ამ აგიტაციის საქმეში, ეს აგიტაცია იყო არა მარტო პოლონეთის არამედ, ვერსალის ზავისა კერძო საფრანგეთის წინააღმდეგ „შლეზვიგ ცაიტუნგში“ აგვისტოს 15 ნომერში დაბეჭდილი იყო ცნობა მსხვილი ასოებით ვარშავის აღების შესახებ, ეს ცნობა არეულობის დაწყების ნიშანი იყო, აღმოჩენილ საბუთებით მტკიცდება, რომ არეულობამ თავი იჩინა იმ წუთსვე, როგორც კი ვარშავის აღების ცნობა მოვიდა. ყველა გერმანულ გაზეთებში დაბეჭდილია წერილი ვერსალის ხელშეკრულობის წინააღმდეგ. და მოსკოვთან შეთანხმების საჭიროების შესახებ. ყოველივე ეს ამტკიცებს, თუ როგორ მოიქცეოდა გერმანია, რომ ბოლშევიკებს ვარშავა აეღო.

# სომხეთი.

**სომხეთის მანდატი საბერძნეთს.**

ერევანი. აქ მოვიდა ცნობა რომ მოკავშირეები იხილავენ საკითხს სომხეთის მანდატის საბერძნეთზე გადაცემის შესახებ. ამერიკულ კაპიტალისტურ წრეებში აღნიშნავენ, რომ საბერძნეთი არავითარ სიძნელეს არ შეხვდება ამ მიზნის აღსრულების დროს თუ ის თანახმა იქნება ამ მანდატის მიღებაზე. მაგრამ, ამასთავე აღნიშნავენ რომ ამით საბერძნეთი თავზე მოიხვევს საბერძნეთ—ოსმალეთის ომის შემდეგ საშიშროებას რაც სხვათა შორის არც ისე საშიშია, თუ ეს მანდატი მოკავშირეებმა და ხალხთა ლიგამ მოიწონა. (ს. დ. ს.)

# ბათომის ცნობები.

**პოლონეთის წარმომადგენელი საქართველოში.**

(დ. ს. საკ. კორ.) ჩამოვიდა პოლონეთის წარმომადგენელი დ-რი ოსტროვსკი, რომელიც ამას იხახულა საგანგებო კომისარი ჩხიკვიშვილი. იგი დღეს ტფილისს მიემგზავრება.

**სოხუმი.**

სოხუმი. სექტემბრის 3 ქალაქის საბჭომ დაადგინა: იშუამდგომლოს აფხაზეთის კომისარიატის წინაშე, რომ აკრძალოს გუმისტანის მაზრიდან ხორბლის გატანა. ამ მაზრაში პურის მომარაგება დაევალოს მხოლოდ ქალაქის თვითმართველობას და გაუქმდეს ციხრი პურზე —აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომები გაიხსნა. თავმჯდომარედ აირჩიეს ა. კირჩავა, სახალხო საბჭომ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს საქართველოს კონსტიტუციის პროექტი.

# მოგონება და მწარე სინამდვილე.

ზამთარი იყო მე და ჩემი ორი მეგობარი პერაში, ტოკათლიანის რესტორანში ვსხედით, ვბაასობდით საერთო პროგრამზე და მით ჰმუნვას ვიმსუბუქებდით. ცის ნისვრციდან, ხამშის ნათელ-ნაცისფერი თოვლის ფიფქები ცეცხლა და თითოდ გოფენილ არემარეს ზედ ერთოდა, ამ სურათის მზერაში და ჩვენი ასეთი ტკბილი საუბარში ყოფნის დროს, წარმოიდგინეთ, რომ ხან და ხან რაღაც გვესიამოვნებოდა და იმედიც გვეძლეოდა. მეტადრე როცა ჩვენი მეგობარი ამოიოხრებდა და იტყოდა: ჩვენ გაგვითენდება დილა, გაგვიღიმებს ბედი, დავბრუნდებით განთავისუფლებულ ჩვენ სამშობლოში და სხვა. მართლაც რომ უცხოეთში ტანჯულ სამშობლოს განთავისუფლებაზე ლაპარაკი და ემიგრანტების სახლში დაბრუნების დროს დაახლოვებაზე საუბარი კაცს, რაც უნდა დაწყლული გული ქონდეს მაინც მისი წყლულის ვარდიგით იფურჩქნება, სიამოვნებას სფეროში შედის და ტკბილ ოცნებაში ეძლევა. ჩვენც ასეთი ტკბილი ოცნებებითა და საუბრით გატაცებულნი ვსხედვართ და დაიმედებული ერთმანეთს შევცქეროდით. ამ დროს ილება კარი რესტორანის, შემოდის წოწოლა ქუჩის ქუდით—მოყვანილი ჟაკეტი, ხელში უჭირავს გრძელი ყავარჯენი, ყავარჯენს აქვს თავში ორი შტო, რომელიც ქისტებითა და პატარა ზარ-ჟღვენებით არის შემკული, აცვია წითელი ჩაქურის მსგავსი მოკლე ჩოხა, შავი ფართო შარვალი და ყვითელი გრძელი ჩექმები. ერთის სიტყვით თავისებური ტანსაც მოდით იყო შემოსილი, და „განთქმული“ ყავარჯენით შეიარაღებული—დაჰკრა ყავარჯენი იატაკს, აჟღრიალა ზარ-ჟღვენები და მაღალის ხმით იქ მყოფ საზოგადოებას აწვდის ცნობებს: „ამა და ამ უბანში ამა და ამ ქუჩაზე, ამ და ამ ნომრიან სახლს ცეცხლი გაჩნდაო“ ათავებს სიტყვას და გადის, ამ ცნობამ ამბავმა შეგვაწყვეტინა ტკბილი ოცნება და წინანდელი მდგომარეობა მოგვაგონა.

რამდენიმე წამის დაფიქრების შემდეგ ერთმა ამხანაგმა გვითხრა: ვინიდგან ჩვენი საუბრის მიმდინარეობა ამ არემოებამ შეარყია და შეცვალა, მისუთ, ასეთი მეთვალყურის დროს საინტერესო და საყურადღებო ისტორია მოგახსენებთ. მეტად დაინტერესებულნი ჩვენც ყურთა სმენად გადავიქეცით. „აი, თქვენც ხომ მოისმინეთ, წოწოლა ქუჩის ქუდიანი, წითელი ჩოხიანი, ფართო შავ შარვლიანი და ყვითელი ჩექმიანი მეცხლთვალყურის სიტყვები, რომელმაც დარა და რა თავის მომარიული ყავარჯენი და მაღალის ხმით მიაწოდა ცნობა საზოგადოებას:“ დაიწყო მან—ესენი ასე ამ ნაირად ისიტყვე ჩაცმულ ბით დადიან და სადმე ცეცხლი რომ გაჩნდება, ასე ამ ნაირად ცნობას მიაწვდიან საზოგადოებას და დაინტერესებულნი კი მაშინვე გაეშურებიან ამ საშველოებლათ.

ეს თანამდებობა მეტად შეეხარის ერთ ჩემ ნაცნობ ახალგაზრდას, დიდი ენერგია დახარჯა და როგორღაც იქმნა ეღირსა ამ თანამდებობის მიღებას და ყმაწვილი. იყიდა ისეთივე ქუჩის ქუდი, წითელი ჩოხა, შავი ფართო შარვალი, ყვითელი ჩექმა და შეიძინა ისეთივე მორთული შტოიანი ყავარჯენი. მოიწყო და მოიკაზმა მშვენივრად, დაიჭირა ხელში ყავარჯენი და შეუდგა თავის მოვალეობას. დადის და ათვალიერებს სახლებს. გადის ერთი—ორი დღე, ერთი—ორი კვირა, არსაიდან არაფერი ისმის და არც რასმე ცეცხლი უჩნდება. ახლა რა ქნას ჩემმა ნაცნობმა, თანამდებობა მიიღო, საპატიო სმგებლო მოვალეობა დაიკისრა და გასაკვირველი არა დიუჩა რა უცებ თავში დაებადა აზრი, და თავისთავად მსჯელობს: „მოდი ბიჭო! შენს უფროსსა და საზოგადოების წინაშე და დაიმტკიცე ერთი შენი საქმიანობა მოდი და შენი მამა-პაპიდგან შენდა სამკვიდროდ გადმოცემულ შენს სახლ-კარს შეუკეთე ნაგუზალი, გაუჩინე ცეცხლი, მოდი შენი ცნობილი ყავარჯენით საზოგადოებისთან, მიაწოდე ცნობა: ამა და ამ უბანში ერთი სახლს ცეცხლი გაუჩნდაო. თქვი ეს სიტყვები, დაბრუნდი უკან სასწრაფოთ ცეცხლი ჩააქრე და სახელი მოიხვეჭე“. მოიწონა ეს აზრი და გაეშურა სახლისკენ. შევიდა სახლში, გამოიტანა ნაგუზალი, შეუკეთა მამა პაპათაგან დარჩენილ საკუთარ სახლს და გაუჩინა ცეცხლი.

წამსვე გაეშურა თავისი ყავარჯენით საზოგადოებისაკენ ცნობის მისაწოდებლათ. მივიდა რესტორანში, დაჰკრა ყავარჯენი იატაკზე, აჟღრიალა ჟღვენები და მოჰყვა საზოგადოების მიმართ დიდის ხმით ყვირილს: „ამ და ამ უბანში ასეთი ერთი სახლი იწვისო; ამოიწმინდა დიდი ხნის გულის ნადები და გაეშურა სახლისაკენ ცეცხლის ჩასაქრობად. მაგრამ რაც ნახავდა მამა-პაპეული სახლი უკვე დამწვარიყო და გადაქცეულიყო ნაგუზალთა ხროვადაო“. დაამთავრა ჩემმა მეგობარმა, და თან დასძინა: „დიახ! რაკი ჩვენმა საუბარმა ასეთი მიმდინარეობა მიიღო—კვლავ მე უნდა გულახდილად გითხრათ, რომ ასეთი პირები, რომლებზედაც ახლა ვლაპარაკობდი, სამწუხაროდ ეხლაც არიან ბევრი. სახელმწიფო საქმე უნდა გაეკეთოთ და ძირს უთხრიან სახელმწიფოს მთლიანობას. რაკი სახელმწიფოს ინტერესებს ახლოვდებიან მტრებთანაც შეუთანხმდებიან დამოკიდებულების შექმნას, ესენი კი მოყვარეებსაც შეუფერებელ საქციელებით მტრებად იხადიან, სწვავენ თავიანთ ხახლკარსო“ და სხვა. ჭეშმარიტი იყო ყოველივე სიტყვა ჩემი მეგობრისა. დაღონებული გამოვემშვიდობე და წავედი ჩემს დროებითი ბინაზე. მაგონდება დღის ჩემი მეგობრის ნაამბობი, ვღონდები მწარედ, მივემგზავრები ჩემს დროებით ბინაზე მაგრამ....

„ს. მ.“ მემედ ბეგ აბაშიძე.

# გ. ს. „საქართველოს“ კონტორა

ამით აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ გაზეთი თვიურად ღირს 30 მან. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს შემოტანილი და ხვედრ ფულს დროზე არ გადაიხდის, გაზეთის გზავნა მოესპობათ.

# „ერთობის“ კლევრეტებს.

ბათომში ჩემი რედაქტორობით გამოცემულ გაზეთ „მთლიან საქართველოში“ მე დავბეჭდე წერილი „ირრედენტისთვის“. ეს წერილი იყო პატრიოტული მანიფესტი. მე ვსწერდი საქართველოს შესაძლებელ ძლიერებაზე და ირრედენტის, რომელიც შექმნილია კიდეც, გალვიძებაზე—ობიექტი, რასაკვირველია, იყო ლაზისტანი და ტრაპიზონი. ამ წერილმა მოსალოდნელი პროტესტი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ წერილი გატარებული იყო სამხედრო ცენზურაში და ცენზურით ნებადართული ბათუმის და მისი ოლქის საგანგებო კომისარი ბ-ნი მ. ჩხიკვიშვილი ამ წერილის გამო ჰკეტავს გაზეთს სამხედრო წესების მოხსნამდე. ჩემთვის გასაკვირი არ ყოფილა ეს აქტი. მე ვიცი, რომ იტალიაში, სადაც შედარებით უფრო მეტია პრესის თავისუფლება აგრეთვე იდევნებოდა ტრიესტის ირრედენტის ქადაგებისთვის ფ. მარინეტი; მე ვიცოდი, რომ ოფიციალი საქართველო არ მიიღებდა ჩემს ტეზისს, მაშინ იმას დაეკარგებოდა თავის გამართლება.

მხოლოდ საჭიროა ერთი განმარტება: საგანგებო კომისარის განკარგულებაში, რომელმაც მოიარა საგანგებო, შეცდომით არის ჩახმარი სიტყვა „პროვოკაცია“. ბრძანებაში სიტყვა სიტყვით დაწერილია „წესის აღება“.

ეხლა, როგორც ეტყობა, „ირრედენტის“ პრესის ყურადღებას იქცევია. გაზეთ „ერთობაში“ ამოღებულია ადგილები „ირრედენტისთვის“ შეუფერებელი კომენტარებით. მე უპასუხოდ დავტოვებდი ყოველ სხვა წერილს, მაგრამ „ერთობის“ მეპრესე ისეთ დაუშვებელ ხერხებს ხმარობს, რომ გაჩუმება ძნელია.

ამიტომ კვლ და კვალ:

„ერთობის“ მეპრესე პირველად ეხება ჩემს ფუტურისტობას, უეჭველია, ამ უბედნიერ მწერლისთვის ჯერ კიდევ ფუტურიზმი საგინებელი სიტყვაა. მისი გადაჯერება ძნელია, საჭიროა მეტი კულტურა და მეტი სინიდისი მოწინააღმდეგის, რომ კამათი შეიძლებოდეს ამ მხრივ ეს მეპრესე პასუხის ღირსის გარეშე.

შემდეგ მეპრესე ეხება ჩვენს რუსულ ლექსებს და წერილებს, თანაც გამხელილი ირონიით. მაგრამ იმ პრესას, რომელმაც შექმნა გაზეთ „ბორბა“-ს ჟარგონი, სადაც გასტროლიორ ებრაელ ჟურნალისტებთან მოღვაწეობენ ქართველი „ერთობლებიც“, სირცხვილი არის სტილზე და რუსულ ენაზე ილაპარაკოს?

მეპრესე მე მაყვედრის „პუბლიცისტიკაში შეჭრას“. მე ვაცხადებ, რომ პუბლიცისტიკა არ არის ჩემი საქმე—ეს „ერთობის“ აწონიგების პრივილეგიაა. ჩემს გამოსვლას ჰქონდა პატრიოტულ მანიფესტაციის ხასიათი და ასეთ გამოსვლისთვის, არავის დაუშლიათ, არც მარინეტისა და არც გ. დანუნციოსთვის პუბლიცისტი. მაგრამ მეპრესე თვითონ ჰგრძნობს თავის შეცდომას და კამათის ცენტრს გადააქვს პოეზიაში და აქაც მეძავება.

„ნეტავ რომელი პოეტებზე მოგვითხრობს, ფუტურისტების გაზეთი, თუ ფუტურისტები ჰყავს სახეში, ღმერთმა მშვიდობა მისცეს მათ, ხოლო თუ ყველა ქართულ პოეტზე ჰფიქრობს, მაშინ ძალიან შემცდარია. ქართველი დემოკრატია და მისი საყვარელი პოეტი იმპერიალისტურ ზარაბანს არ აზრახუნებს“.

მე რომ სურვილი მქონდეს კამათისა, მაშინ „დავამტკიცებდი“, რომ პოეტი ქართულ პოეზიაში სწორედ ფუტურისტებმა გამოაჩინეს.

„ფუნდამენტად განთიადი“-ს მგოსნები, მეპრესის მიერ ნაქები, ვერც პატრიოტულ ზარაბანს აახმაურებენ და პოეზიისას მით უმეტეს.

მხოლოდ ოფიციალურ კლევრეტებს შეუძლიათ ასე ავანსათ იძლიონ დემოკრატიის სიყვარული.

ჩვენ ვაფასებთ დემოკრატიას, სოციალ დემოკრატიასაც, მხოლოდ გული გვტკივა, რომ მას ისეთი კრიტიკი ვექონი ჰყავს, როგორც ცნობილი მეპრესე. სხვა დროს შეიძლებოდა მეტის თქმა პოეზიაზე უფრო მეტის“ მენშევიკურ „იმპერიალიზმზე“, თუნდა ბათომში და მის ოლქში, მაგრამ ჩვენი მიზანი უფრო სხვაა. ჩვენ წინ სდგას დიდი საქართველო ჯერ კი აუხდელი სიყვარულით და, რა თქმა უნდა საქართველოს განმტკიცებისთვის ბრძოლაში ჩვენ ვერ შევაჩერებთ „ერთობის“ კლევრეტები..

ტიციან ტაბიძე.

# ილია წინამძღვრიშვილის გვამის გასვენება
## წირვა და ანდერძი.

კვირას, ენკენისთვის 5—ს, ქვაშვეთის ტაძარში წირვა და ანდერძი აუგეს განსვენებულ ილია წინამძღვრიშვილს. მწირველი ბრძანდებოდა მათი უწმინდესობა სრულიად საქართველოს კათალიკოზ—პატრიარქი ლეონიდე ადგილობრივ კრებულით. წირვას დაესწრნენ წარმომადგენელნი მთავრობისა, სამინისტროებისა, კულტურულ დაწესებულებათა და სხვა საზოგადოებათა, აგრეთვე მრავალი პატივის მცემელი განსვენებულისა. განსვენებულის ცხედარი კაკლის კუბოში ტროპიულ მცენარეებით და ცოცხალ ყვავილ გვირგვინებით იყო შემკული. ერთი ბიჭი ცოცხალ ყვავილოვან გვირგვინში ჩატანებული იყო პურის თავთავები და წარწერა შემდეგი წარწერით: „საქართველოს სოფლის მეურნე ცხადის გვირგვინის ლების მესვეურს და თავდადებულ შარმაგარო მუშაკს ილია წინამძღვრიშვილს — ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებიდან“.

ანდერძის წინ მეტად მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა კათალიკოზმა ლეონიდემ რომელმაც მშვენიერ ღრმა ქართულ მხატვრულ სიტყვით ძლიერ შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. კათალიკოზმა გაიხსენა მრავალი ეპიზოდი განსვენებულის მოღვაწეობიდან, რომელიც უკავშირდება განსვენებულის ლვაწლი. ანდერძის შემდეგ განსვენებულის ცხედარი დასვენებულ იქმნა ტაძარში მეორე დილამდის.

**გასვენება.**

გუშინ, ენკენისთვის 2—ს, ქვაშვეთის ტაძარში დილის 9 საათისთვის კვლავ მოიყარა თავი დიდძალ საზოგადოებამ. მცირე პანაშვიდის შემდეგი ცხედარი გამოასვენეს დამხვედრულ საზოგადოების წევრება და მაღლახინით გაასვენეს საქართველოს სამხედრო გზით ს. წინამძღვრიანთ კარში. დაკრძალვა მოხდება დღეს სექტემბრის 7—ს.

# მოვხედოთ ილიას და აკაკის საფლავებს.

დიდი ნიაღვრების შემდეგ, რომელიც თბილისში 4 6 ენკენისთვეს მოვიდა, დიდად დაზიანებულა ილიასა და აკაკის საფლავები. მთიდან ჩამოტანილი ქვიშითა და ლორღით ავსებულა ეს საფლავები და თუ დროზე არ მიხედეს, ადგილობრივ ტაძარს თავისი საწყალი კასით არაფერი არ შეუძლიათ. ეს ადგილები ეკუთვნის მიწად მოქმედების სამინისტროს, რომელიც მოვალეა დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რომ მის მამულიდან ჩამოსულ ლორღიდან მომავალში უზრუნველ ჰყოს ეს საფლავები.

# ციურიხის ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

ციურიხის ახალი გაზეთი შექმნილ შეგუების შესახებ ბეჭდავს ერთ ელს წერილს, სადაც სხვათა შორის, აღნიშნულია: „საქართველოს მთავრობა თავიდანვე შეეცადა კავკასიაში მშვიდობიანობა დაემყარებინა. საქართველოს მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს სომხეთისა და აზერბეიჯანს შორის სადაო საკითხები მშვიდობიანი გზით გადაწყვიტოს. საქართველო მართალია, როდესაც ჰფიქრობს, რომ ამიერ კავკასიის 3 რესპუბლიკის შორის მშვიდობიანობა შექმნის კავკასიაში მტკიცე მდგომარეობას და მაშინ ისინი უცხოეთის საფრთხის აგან უზრუნველყოფილი იქნებიან.?

# ქართული გაზეთის დახურვა

**საგანგებო კომისარის ბრძანება.**

გაზეთ „მთლიან საქართველოს“ პირველ ნომერში დაბეჭდილია წერილი ტიციან ტაბიძის, სათაურით „ირრედენტისთვის“, რომელიც მიმართულია ჩვენთან კეთილგანწყობილ მეზობლის ოსმალეთის წინააღმდეგ და თავის შინაარსით არის დაუშვებელი.

ამიტომ დავადგინე: შეჩერდეს გამოცემა გაზეთის „მთლიანი საქართველოს“ ბათომის ოლქში სამხედრო წესების მოხსნამდე.

2 სექტემბერი 1920 წ. ბ. ჩხიკვიშვილი.

# ერ. დემ. პარ. მთავარ კომიტეტის ცნობები.

მთავ. კომიტეტის მდივნის ნახვა შეიძლება ყოველდღე დილის 9—11 მდე და საღამოს 7—9 საათამდე.

—

პროვინციიდან ჩამოსულ პარტიულ ამხანაგებს ვთხოვთ შემოიარონ მთავარ კომიტეტის კანცელარიაში.

—

სოფ. მასწავლებელთა საყურადღებოდ:

პროვინციებში და სოფლებში მუდმივად მყოფ ჩვენი პარტიის წევრთ და თანამოაზრე სოფლის მასწავლებლებს ვსთხოვთ გვაცნობონ თავიანთი ვინაობა და მისამართი, აცნობონ აგრეთვე სამაზრო კომიტეტებს.

—

სამაზრო და სარაიონო კომიტეტებისადმი:

ზოგიერთ პროვინციის ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებს, ჯერაც არ უპასუხნიათ ჩვენ მიერ 29 ივლისის თარიღით 1451 № დაგზავნილ ცირკულიარზედ.

ვაფრთხილებთ განსაკუთრებით სამაზრო და სარაიონო ორგანიზაციებს დაუყონებლივ გვიპასუხონ ხსენებულ ცირკულიარზედ.

ერ. დემ. პ. რ. მთავ. კომიტეტი.

# ახალი ამბავი

## მთავრობაში.

— **დახმარება ლეიტენანტ დონოეს.** მთავრობამ დაადგინა: სამხედრო ფონდიდან დახმარება მისცეს ლეიტენანტ დონოევს, რომელიც სამსახურის შესრულების დროს ავათ გახდა.

— **უკლაბები შემოწირულობათა შესაკრებათ.** მთავრობამ დაადგინა: მოხსნას რკინის გზის სადგურებზე არსებული შემოწირულებათა შესაკრები ყულაბები. ყულაბები უნდა გადაეცეს ფინანსთა საქმეთა სამინისტროს. ყულაბებში არსებული ფული მთავრობას უნდა ჩაბარდეს.

— **აქციზი ჩაიზე.** მთავრობამ მოისმინა მოხსენება შინა მრეწველობის დამზადებულ ჩაიზე აქციზის დაწესების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ აქამდის აქციზი უცხოეთში დამზადებულ ჩაიზე იყო დაწესებული. ამ ჟამად, ბათომის ოლქის შემოერთების შემდეგ ბაზარზე ადგილობრივი წარმოების ჩაიც შემოდის. სააქციზო უწყება ადგილობრივ წარმოების ჩაიზე აქციზის დაწესების საჭიროებას აღნიშნავს. მოხსენების მოსმენის შემდეგ მთავრობამ სააქციზო უწყებას აღძრულ საკითხის განსახილველად საგანგებო თათბირის მოწვევა მიანდო. თათბირზე ფინანსთა, მომარაგების და მიწად მოქმედების სამინისტროების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

— **ძვლის მაყაშვილს.** მოისმინა რა მთავრობამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მიერ აღძრული საკითხი მურინავ მაყაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ძეგლის აგების შესახებ, მიანდო სამხედრო სამინისტროს ამ საკითხის დეტალურად განხილვა და თავისი მოსაზრებების წარმოდგენა.

— **გერმანიის საქონელი.** გერმანიიდან მთავრობის სახელზე სხვა და სხვა საქონელი მოვიდა. სახელდობრ: ქაღალდი, ელექტრონის ლამპები, რკინეულობა და სხვა.

— **სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთთან.** უახლოს დროში საბჭოთა რუსეთში რუსეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ხელშეკრულებას დასადებად, საგანგებო კომისია მიემგზავრება. ხელშეკრულება საქონლის გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე იქნება დადებული.

## სამინისტროებში.

— **ძლიერი რადიო სადგური.** მარკონის წარმომადგენელი ლურჯი სოლარიდან რადიოთი მოვიდა ცნობა, რომ თბილისისთვის ძლიერი რადიო სადგური მზად არისო. სადგური 15 კილოვატიან მანქანისაგან შესდგება: სადგურის ძალის რადიუსი 5000 კილომეტრს უდრის ამ სადგურის დადგმის შემდეგ თბილისის რადიო სადგური შეერთებული იქნება რომის, ლონდონისა და პარიზის რადიო-სადგურებთან. რადიოთი იტყობინებიან: ამ სადგურის აღწერილობა და სურათები თბილისში ფოსტით არის გამოგზავნილი.

— **საცხოვრებო მინიმუმი.** ფინანსთა მინისტრის მოვლეობის აღმასრულებლის წინადადებით, ფინანსთა სამინისტრო შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დასაწესებლად საცხოვრებო მინიმუმის გადიდების კანონპროექტის შემუშავებას შეუდგა. განზრახულია საცხოვრებო მინიმუმს 12 ათასიდან 24 ათასამდე გადიდება.

— **გოგირდის აბანოები.** განზრახულია ტფილისის გოგირდის აბანოების იჯარით გაცემა სამი წლის ვადით. შეჯიბრება აბანოების იჯარით აღებაზე სექტემბრის ათს დაიწყება.

— **ტყის გაშენება.** მიწად მოქმედების სამინისტროს განყოფილებამ ყურადღება მიაქცია იმ მოვლენას, რომ ტყის გაჩეხვის გამო, გაჩნდა ბუჩქნარები, რომლებიც ტყის საუკეთესო ჯიშის ნორმალურ ზრდას ხელს უშლის. განზრახულია ამ ბუჩქნარების გაჩეხვა და მათ ადგილზე საუკეთესო ჯიშის ტყის გაშენება.

## დამფუძნებელ კრებაში.

— **სატრანსპორტო საზოგადოების რევიზია.** დამფუძნებელი კრების საფინანსო კომისიამ დაადგინა: ამ კვირაში სატრანსპორტო საზოგადოების მოქმედების რევიზიას შეუდგეს.

## ქალ. თვითმართველობაში.

— **ახალი წყალსადენი.** ქალაქის თვით მმართველობის მთავარმა ინჟინერმა შეიმუშავა თბილისი ახალი წყალსადენის მოწყობის პროექტი და ხარჯ აღრიცხვა. ამ პროექტს მოკლე დროში განიხილავს სატეხნიკო კომისია.

## ერობაში.

— **სანატორიუმი აბ. სთუმანში.** გორის ერობის გამგეობამ დაადგინა: გაიღოს აბასთუმანში ქირით ერთი სახლი და მოაწყოს შიგ სანატორიუმი ერობის მოსამსახურეთათვის.

**გეგმის დამტკიცება.**

— გორის სამაზრო ერობამ მიწის ძვრისაგან 20 დაქცეულ სოფლის აღდგენის გეგმა დაამტკიცა.

— **ერობათა კავშირის მიმართვა.** ერობათა კავშირის კომიტეტმა, გუმისტის, გუდაუთის, კოდორის და სამურზაყანოს ერობებს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა: ერობათა კავშირის კომიტეტმა მიიღო ცნობა აფხაზეთის ერობათა და ქალაქთა კავშირის დაარსების შესახებ. ერობათა კავშირის კომიტეტი, როგორც ცენტრალური ორგანო საქართველოს ყველა საერობო ერთეულისა, აღნიშნავს, რომ ის ნაბიჯი, რომელიც ამ სამმა ერობამ გადადგა მისთვის, სრულიად მოულოდნელი და აუხსნელია. მოულოდნელია მით, რომ კომიტეტს ამის შესახებ თავის წევრებისაგან არავითარი ცნობები არ მიუღია, გაუგებარია, მით რომ ერობათა კავშირის გამგეობის ასეთი მოწყობა არ დაუმსახურებია. ასეთი კავშირის დაარსება დასაშვები და საჭიროც იქნებოდა, რომ ერობათა კავშირს არ გაეწია დახმარება აფხაზეთის ერობისათვის- არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ აფხაზეთის ერობის შუამდგომლობა არ ყოფილიყოს დაკმაყოფილებული. პირ-იქით, კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა აფხაზეთის ერობის შუამდგომლობებს. ერობათა კავშირის კომიტეტი მწუხარებას გამოსთქვამს მომხდარ ფაქტის გამო, თუმცა იმედს არ კარგავს, რომ კავშირის წევრები გაარკვევენ იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს მათი გამოყოფა ერობათა საერთო კავშირიდან.

## ვაჭრობა-მრეწველობა.

— **უმაღლესი ეკონომიური საბჭო.** ფინანსთა სამინისტრო უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მოქმედების გეგმის დამუშავებას შეუდგა. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ უნდა გაერთიანოს ის უწყებანი, რომლებიც სახალხო მეურნეობის დარგში მუშაობენ.

— **კომერციული განათლება.** სავაჭრო სამრეწველო კომიტეტმა კომერციულ სასწავლებლის წესდება მოიწონა. განზრახულია უნცროს კლასების თანდათანობითი დახურვა და მათ ადგილზე უმაღლეს კომერციულ სპეციალ კლასების დატოვება. განზრახულია აგრეთვე თანდათანობით სახელმწიფო ენაზე გადასვლა, მიმდინარე წელში გაიხსნება პარალელური კლასები, მე-5-ე და 6 კლასებში მეცადინეობა ქართულ ენაზე იწარმოებს.

— **სავალიუტო საქონელი.** სავაჭრო სამრეწველო პალატამ ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობით მიჰმართა დართოს მას ნება იმ სავალიუტო საქონლის საზღვარ გარედ გატანისა, რომელიც ერთ დროს თანახმად მომარაგების მინისტრის ნებართვისა გატანილი იყო ბათუმში და რომელიც სხვა და სხვა მიზეზების გამო იქ დარჩა. სავაჭრო-სამრეწველო პალატა აღნიშნავს, რომ ეს საქონელი უნდა იქნეს გატანილი საზღვარ გარედ, ვინაიდან იგი საქართველოში შემოტანილ საქონლის ეკვივალენტს წარმოადგენს.

## მუშათა ცხოვრება.

**მუშათა რიცხვი.** მომარაგების სამინისტრო შეეკითხა თბილისის რკინის გზათა უფროსს: ნეიტრალურ ზონის თვითეულ სადგურსა და ყველა სადგურზე რამდენი მუშა და მოსამსახურე ირიცხება.

— **მეორე ინტერნაციონალური დელეგაციის შეხვედრა.** მუშებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წინადადება მიეცათ შეადგინონ კომისია, მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის სადღესასწაულო შესახვედრად. თბილისის ქალაქის გამგეობამ თავის მხრივ ამ კომისიაში აირჩია გამგეობის წევრი კონიაშვილი.

— **მუშათა მაგიდა.** მუშათა მაგიდამ შრომის მინისტრსა და მომარაგების სამინისტროს გამანაწილებელ განყოფილებას აცნობა, რომ რესპუბლიკის მუშების მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის საჭიროა არა ნაკლებ 150. 000 ფუთი ხორბლის მომარაგება.

## რკინის გზაზე.

— **თბილისის სადგური.** გზათა უწყების დეპარტამენტის საბჭომ აღძრა შუამდგომლობა რათა თბილისის რკინის გზის სადგურის შენობის გაფართოების საქმის დასასრულებლად და ზედმეტ გაწეულ ხარჯების დასაფარავად საჭირო თანხას იქმნეს გაღებული. შუამდგომლობაში აღნიშნულია ისიც, რომ შენობა ზამთრამდე უნდა შეკეთდეს.

## სურსათი.

— **სურსათი.** ქალაქის თვითმართველობა შეუდგა ქალაქის ბოსტნებიდან სურსათის მოგროვებას თავისავე სამრეწველოების მუშათა შორის გასანაწილებლად. ავჭალის ბოსტნებში მოაგროვეს 2.000 ფუთი კარტოფილი.

## სხვა და სხვა.

— **დეპუტაციის მოსვლა.** თბილისში ჩამოვიდნენ თელავის სახელმწიფო დაწესებულებათა, მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენლები. გ. ციცქიშვილი და ნ. ვაჩეიშვილი. მათ დავალებული აქვთ საზოგადო ყრილობიდგან წარსდგენ მოხსენებით მთავრობის თავმჯდომარის მოადგილესთან და გააცნონ ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც აყენებს მოსამსახურეთ ადგილობრივი სურსათ-სანოვაგის გამანაწილებელი კომიტეტი.

— **სამსახურის თავის დანებება.** ჩვენში კარგად ცნობილმა პედაგოგმა ივანე გომელაურმა, რომელიც ამ ბოლო დროს თბილისის მაზრის ერობის სკოლებს ხელმძღვანელობდა, თავი გაანება სამსახურს.

**ს. ავალიანის გამგზავრება.** ს. ავალიანი, მიწად მოქმედების მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელ მალანიასთან და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთან ერთად რკინის გზელთა სასურსათო ორგანიზაციის მდგომარეობის გასაცნობად მიემგზავრება. რკინის გზელებმა თავის ოპერაციების გასაფართოვებლად განსაზღვრული თანხა გამოითხოვეს.

— **ქართველები თურქესტანში.** თბილისში ჩამოვიდა თურქესტანში მცხოვრებთ-ქართველთა დელეგაცია 3 კაცისაგან შემდგარი. დელეგაციამ სექტემბერს 4 ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქარცივაძე.

— **ტყვე ოსმალები.** 6 ენკენისთვეს 4 ვაგონით ბათომის გზით გაისტუმრეს ტყვე ოსმალები.

— **ფასები ბაქოში.** ბაქოდან ჩამოსულთა სიტყვით იქ ამ ჟამად გირვანქა პური ჰფასობს მოთეთრო 350 მან., ხორცი 250 მან., ყერბო 1400 მ., საპონი 900 მ., კარტოფილი 100 მან. თევზი 180 მან., კვერცხი 420 მან. ათი ცალი, ფეხსაცმელი 50,000 მან. წყვილი და სხვ.

— **ინგლისის სამხედრო მისია,** რომელიც გუმბრში იყო გამგზავრებული თფილისს დაბრუნდა.

## მილიციაში.

— **ბრძოლა სპეკულიაციასთან.** საგანგებო რაზმის უფროსის განკარგულებით დაიჭირეს 19 კაცი, რომელთაც სპეკულიაცია ბრალდებათ. დაპატიმრებული ციხეში მოათავსეს

## პროვინცია.

**სურამში ძუკუ ლოლუას გუნდის ტურნე** სურამში ძუკუ ლოლუას მიერ დაარსებული მომღერალთა გუნდი მისივე ლოტბარობით სამშაბათს 7 სექტემბერს გამართავს აქედგან ხაშურში ბორჯომში წ ღვირში

## ბათომი.

**ბათომის რადიო სადგური.**

რადიო ტელეგრაფის სამმართველომ ზომები მიიღო ბათომში ძლიერი, 10 კილოვატიანი სადგურის მოსაწყობათ. ახალი რადიო სადგური საშუალებას მისცემს ბათომს დაუკავშირდეს კონსტანტინოპოლსა და ყირიმს. ამ შემთხვევაში ტფილისი ყველა რადიოს ბათომიდან მიიღებს.

**სასამართლოს ცხოვრება.**

ბათომის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ მოქმედება დაიწყო. ბათომის საოლქო სასამართლოს მოწყობის საორგანიზაციო მუშაობის სასწრაფოდ დასრულების მიზნით, ბათომს გაემგზავრა სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი კანდელაკი. გამომძიებელი ს. მესხი დაინიშნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი ამხანაგად.

**სახელმწიფო ბანკის განყოფილება ბათომში.**

ფინანსთა სამინისტრომ. ბათომში სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნის პროექტი შეიმუშავა. ეს პროექტი ცხოვრებაში უახლოეს დღეებში გატარდება.

## ბორჯომი.

სექტემბრის 4. (შემთხვევითი დეპეშა) სახელმწიფო პირველი სანატორიუმის კოლეგია ღრმა მადლობას უცხადებს ცენტრო-ბანკის თავმჯდომარეს 100.000 მანეთის შემოწირვისათვის. ამასთანავე გაუწყებთ რომ სანატორიუმმა მიიღო სტიპენდიანტი ცენტრობანკის სახელობაზე.

დირექტორი: **ზანდუკელი.**

## გულნატკენი ქალაქი.

მე ვგულისხმობ ქართლის დედა ქალაქს—გორს. იმ საშინელების შემდეგ, რაც გორმა მიწის ძვრისაგან განიცადა, ბევრი რამ აღთქმა და დაპირებანი მოჰყოლია, მაგრამ მით დაზარალებულთ შვება არ უნახავთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რაც ზარალის დასათვალიერებლად მოსულთა თავზე და ვითომ გორის აღმდგენელ მესვეურთა პატიენადიმებზე დაიხარჯა, თვით დაზარალებულთ თავზე მის ნახევარიც არ გაულიათ. დახმარება ჯანდაბას, რომ მის აღმშენებლობის საქმეში ჩამორეულიყვნენ და ხელფეხი არ შეებორკნათ „აღმშენებელ კომიტეტის“ სახელით პატარა ქოხები მაინც წამოედგათ. დღეს ამ შემოდგომის პირს გორელთ მოგვეცა უფლება ჩვენი საკუთარი ძალ ღონით ავიშენოთ ჩვენი საზამთრო თუ სამაისო თავშესაფარი. ეს ძალიან კარგია, სურვილს იქნებ საქმიანობა მივაყოლოთ და გორი ჩვენებურად ჩვენის ძალღონით იქნებ ძველებურად ლამაზად ვერ ავაშენოთ, მაგრამ წინდაწინვე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქალაქს აღდგენა არ უწერია და იცით რატომ? ყველანი დაგვაფრთხეს! მას შემდეგ, რაც რეკვიზიციების უფლება მიენიჭათ ერობებს და ქალაქის თვით მართველობათ, გორის დაწესებულებანი ხელოვნურად სარგებლობენ ამ კანონით და ჰლირს ვინმემ აგური აგურს დაადოს, რომ გამოუცხადონ, თქვენი სახლი უნდა ჩვენ დავიჭიროთ, მიბრძანდით საცა გნებავთ, სამი დღის განმავლობაში დაგვიცალეთო! გესმით? დაზარალებულმა ქვა ქვას დაადო, ხუხულა გაიკეთა და ამ ხუხულასაც კი ართმევენ. სადაა სამართალი? ვისთან იჩივლოს, ვის შესტიროს თავისი გულის ტკივილი? ან ვის შეაფარებინოს ზამთარში ცის ქვეშ დარჩენილი ცოლშვილი. მერე არის და ხალხს ნებაზე არ უშვებენ ქოხები ისე მოაწყონ, როგორც მათ სურთ: თქვენ საზოგადო გეგმის თანახმად უნდა ააშენოთ, თუ აშენება არის. ხალხი მოლოდინში იყო, რომ „გეგმას“ ისცემდნენ, მაგრამ რომ არა იქნა რა, თვითვე წარუდგინეს თავიანთ მიერ შედგენილი გეგმები, აგერ ოთხი თვეა რაც ეს „აღმადგენელ კომიტეტის“ პორტფელში ინახება და გორელთ პასუხი არ ჰღირსებიათ, თუ დრო თხოვნებს აღარ მოითხოვს. ერთი სიტყვით, დაბრკოლება ათასია და ილაჯ გაწყვეტილ ხალხმაც არ იცის გაჭირვებას როგორ აართვას თავი.

სხვაფრივ რა ითქმის კარგი გორისთვის, მაინც და მაინც არაფერი. სიძვირე დიდია, როგორც ყოველგან, მაგრამ აქ განსაკუთრებულ სახეს იღებს, აი საქმე რაშია: სოფლელები დაგვიფრთხეს, სოველი აღარ გვეკარება, ან და როგორ მოგვეკაროს: წარმოიდგინეთ, რომ ვისმეს ფქვილი კიდრა, ვთქვათ, ათიოდე პური ჩაუდია ხურჯინში და მოდის. მილიციონერი ქალაქის თასმაზევე შეატყობს, რომ მას „რაღაცა“ აქვს. ყოველივეს ჩამოართმევს, გასწერს და ამით თავდება ყველაფერი. ბიჭია და სოფლელმა რამე მოსთხოვოს, ვთქვათ, გამომცხვარ პურის მინიმუმი და არა საბაზრო ღირებულება. მილიციონერი შეუბღვირავს და თუ ესეც არ იკმარა, კარგს უთავაზებს და ბატონყმურად გასწევს. სად მიდის ნადავლი, რა დანიშნულება ეძლევა მას,—არავინ იცის.

არც სხვაფრივ არის გორელების საქმე კარგად. როგორც ვიცით, დანგრევის შემდეგ გორელთა საქალო და სავაჟო გიმნაზიელი აქეთ-იქით აწიალეს, მაგრამ გორელებმა მოითხოვეს, რომ გიმნაზიები ისევ გორში გადმოეტანათ. დასთანხმდნენ. მერე იცით, რა კურიოზებით დამთავრდა გიმნაზიების საქმე? მოგახსენებთ: სავაჟო გიმნაზიის დასახმარებლად განათლების სამინისტრომ 200 ათასი მისთავაზა. მთავრობამ თავის მხრით 350,000 მოაწოდა. ეს ამბავი საკმარისი იყო, რომ განათლების სამინისტროს 200 ათასი უკან მოეთხოვა. ნუ დაივიწყებთ, რომ 350,000 შედიოდა, როგორც სასწავლებლისთვის შენობის შეკეთება დაქირავება, მასწავლებელთა, ბინების დაქირავება ამ თანხის ისტორია წუ თუ არ გაგონებთ დედინაცვლისა და გერის ამბავს, რომელსაც კუჰი მისცა, თითონაც ჭამა და ეჭამა, გამლელ-გამომვლელისათვის საც მიეცათ და შინ კი საკმაოდ მიეტანა.

არც საქალებო გიმნაზიის ბედია სახარბიელო. მისი ერთად ერთი მზრუნველი ისევ „მესაკუთრეთა კავშირის ტრონია“, რომლის მესვეური ზ. ტიაშვილი თავის წევრებს (კავშირში 1500 კომლია) ყოველდღე გაშვერილი ხელით ჩამოუვლის ხოლმე, რომ გროშები მოჰკრიბოს სასწავლებლის შენახად. მაგრამ როდემდინ. ქველმოქმედება ერთხელ და ორჯელ შეიძლება და არა დაუსრულებლივ. დაქსაქსულ „მესაკუთრეთ“ იმდენი რა უნდა გარჩენოდეს, რომ მთელი სასწავლებელი შეინახოს.

არა, განსაკუთრებულია გორის ხვედრი. მისი ტკივილები მრავალია, დასტაქრად არავინ გააჩნია, ყველასაგან მოძულებულია და გულ გატეხილი ყველას იმას ეკითხება როდემდინ გაგრძელდება ეს ამბავი, როდემდინ?

**არისტიდე.**

# ჩვენი კორესპოდენტები.

## ს. მარტყოფი.

გარე კახეთში ს. მარტყოფი ითვლება ერთ უდიდეს სოფლად, თბილისთან სიახლოვეც მას უფლებას ანიჭებს ერთ უდიდეს ცენტრად გარდაიქცეს, მიუხედავათ ასეთი ხელსაყრელი პირობებისა, იგი მთლად მოწყვეტილია პრიმიტიულ მგზავრობასაც კი, ასე რომ მარტყოფში წამსვლელს მთელი განსაცდელი ელის და ბათომში და ბაქოში ჩასვლა უფრო ადვილად და იაფად ჯდება, ვიდრე იქ ჩასვლა. კახეთის გზის სიახლოვე გავიმტყუნდა: მახლობელი სადგური ვაზიანი 16 ვერსზედაა დაშორებული და ამ სადგურთან მიმოსვლაც დღემდის ვერ მოუწესრიგებია ერობას. კვირაში ერთხელ ღია ეტლი დაიარება, ხანდისხან ხომ ესეც არაა.

ამითი აიხსნება ამ სოფლის კულტურულად დაქვეითება. სამიკტნოებს და დუქნებს უფრო მეტი გასავალი აქვთ, ვიდრე რაიმე საკულტურო საგანმანათლებლო რამ დაწესებულებას. ამიტომვეა, რომ თუ რაიმე სალი გასართობი მოეწყო, მთელი მარტყოფის საზოგადოება ფეხზე დგება და ეშურება მთლემარე თვალი გაახილოს. ასეთ მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენდა ტრადიციული დღესასწაული მარიამობა 30 მარიამობისთვეს. ადგილობრივ ძალების მიერ სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენა გაიმართა ბ. კუპარაძის ხელმძღვანელობით. წარმოდგენილ იქმნა 3 მოქ. დრამა „ელეონორა“ და 2 მოქ. ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ.“ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. სუსტობდა მხოლოდ სცენის მოწყობილება და დეკორაციები. მიუხედავად ამ ნაკლისა, პიესები მწყობრად იქმნა წარმოდგენილი სცენისმოყვარეთა მიერ.

ანტრაქტებში ადგილობრივ ძალთა გუნდმა მშვენივრად შეასრულა სხვა და სხვა ეროვნული მელოდიები, მათ შორის განსვენებულ კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის ტრიო „ტურფავ მოდი“. გუნდში ირჩეოდა ლამაზი ცქრიალა სოპრანო ქ. ეპიტაშვილისა, პროფ. კოვის მოწაფისა. ქ-ნი ეპიტაშვილი წელს ათავებს კონსერვატორიას და დიდი იმედია, რომ სულ ამ მოკლე ხანში დაამშვენებს სახელმწიფო ოპერის სცენას. საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები დარჩა. შალა, ამ საუცხოვო საღამოს შემდეგ დიდი მადლობის ღირსია ენერგიით აღჭურვილი ცნობილი საზოგადო მოღვაწე მასწავლებელი ქალი ბარბარე ბერიშვილი ამნაირ საგულისხმო საღამოს მოწყობისთვის, სამწუხაროა, რომ თეატრის სიმცირის გამო ბევრი მსურველი ვერ დაესწრო ამ საღამოს.

**დამსწრე.**

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: **ხპ. კედია**

**სამკურნალო**
ელექტრონის რენტგენის და სინათლ
**მიხეილ გედევანიშვილი**
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საა
არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 2
ვერაზე. 3102.

## რუსეთის პრობლემა და კავკასია.

III.

როცა ბ. მარი გვირჩევს ისევ რუსეთის ქვეშევრდომობას, იმას საბუთებიც მოჰყავს და, სხვათაშორის, ამბობს, რუსეთი აზიისა და ევროპის სინთეზიაო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უხერხულია ნაციის შესახებ ასეთი აზრის გამოთქმა.

ნაცია ან დიდი ნიჭის პატრონია, ან მცირესი, ამასთან სხვა და სხვა სფეროში.

ზოგი ძლიერია ფილოსოფიაში, ზოგი მეცნიერებაში, და ზოგი ხელოვნებაში. ებრაელებმა, მაგალითად, შექმნა ორი მონოთეისტური რელიგია და წარმოშვეს მრავალი წინასწარმეტყველები.

ფინიკიელები გამოჩენილი ვაჭრები იყვნენ. ძველმა ბერძნებმა შექმნეს დიადი ფილოსოფია, დიდი პოეზია და ხელოვნება, თუმცა სახელმწიფოს აშენებლობაში და სამართლის შექმნაში მეტად სუსტები გამოდგნენ.

ძველი რომაელები საბრალო მიმბაძველები იყვნენ ბერძნებისა ფილოსოფიაში და ხელოვნებაში, მაგრამ შექმნეს ისეთი სამოქალაქო სამართალი, რომ დღემდი მასზედ სწავლობს მთელი ევროპა. მათვე წარმოშვეს პირველი იმპერატორი და შექმნეს ისეთი დიადი იმპერია, რომ მთელი მაშინდელი ქვეყნიერება რომს მორჩილებდა. ერთი სიტყვით, ყველას მიუძღვის ღვაწლი საკუთარ შემოქმედებით კაცობრიობისათვის სამსახური გაეწია. ვინც მოკლებულია შემოქმედების უნარს, მაზე არც, ჰღირს ლაპარაკი. მერე და რა მისცა რუსეთმა? განვიხილოთ მოკლედ ისტორია...

რუსების მატიანე ამბობს, რომ რუსების თემებში მუდამ არეულობა იყოო; ხალხი აბეზარს მოვიდა, მაგრამ სხვა ვერა მოახერხეს რა იმის მეტი, რომ არჩეული კაცები გაეგზავნა მეზობელ ხალხთან „ვარიაგებთან“ და მოეხსენებინათ: „ქვეყანა ჩვენი დიდია და მდიდარი მაგრამ წესიერება არა გვაქვს, მობრძანდით, იუფლეთ და იმთავრეთო.“ პროფესორი ილოვაისკი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს ზღაპარი გადმოცემა ზღაპარიაო, მაგრამ ლინგვისტიკამ გამოაშკარავა, რომ რიურიკი სინეუსი, ტრუვორი, ვოლდემარი და სხვა ამგვარი რამ იყო ჩრდილო-გერმანულ სახელები, კნიაზი (გერმანული კონინგ) ვეჩე, ვიტიაზი იყო ჩრდილო-გერმანული ტერმინები. იმავე ლინგვისტიკამ გამოაშკარავა, რომ სლოვიანები ძველი კელტების მონათესავე ერები არიან და იმათსავით სუსტი ენერგიის პატრონები. და თუ როდის მე სლოვიანების ერები ბინადრობდნენ სამხრეთ რუსეთის მინდვრებში, იქიდან ადრე გააძევეს მონღოლებმა და სხვა მომთაბარე ჯოგებმა. რუსების თემები შეეხიზნენ ჩრდილო რუსეთის ტყე ღრეებს.

იქ იმათ დიდ ხანს არავინ ერჩოდა, მაგრამ ბოლოს იქაც მიუვარდნენ, უმთავრესად ჩრდილო გერმანელები, დაიპყრეს მთელ რუსეთი და მოაწყვეს ცნობილი რუსეთის ისტორიაში „ვეჩეს“ წესწყობილება. (სამფლობელოსი საუფლისწულოთ დაყოფილნი). ეს წესწყობილება გერმანელების შექმნილია და არა რუსებისა.

როცა გერმანელთა სისხლი და მასთან მათი ენერგია შესუსტდა რუსებში, მოვიდნენ მონღოლების ურდოები, დაიპყრეს მთელი რუსეთი და იბატონეს მათზე 300 წელიწადი. ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ ამ სამასი წლის განმავლობაში არ მომხდარიყო რუსების და მონღოლების ერთი მეორეში არევა. მონღოლებმა ბევრი თავიანთი ენერგიული სისხლი შეჰპატეს რუსებს. რუსებისათვის ეს მეტად სასახელო გამოდგა, ხოლო მონღოლთა სახანოები მოშლა ბერდა და დაინგრა, ამითი ისარგებლეს რუსებმა, განათავისუფლეს თავიანთი ქვეყანა მოაწყვეს თავიანთი სახელმწიფო, მაგრამ წესწყობილება ზოგი მონღოლებიდან გადმოიღეს, ზოგი ბიზანტიიდან, თავიანთი არა შეუქმნიათ რა.

პეტრე პირველიდან კი რუსებმა ყურადღება მიაქციეს ევროპას, იმას ჰბაძავდენ ყველაფერში, უფრო გერმანელებს. სახელმწიფოც უფრო ევროპიულად მოაწყვეს ვ თომ.

ასე რომ სახელმწიფოს აშენებლობაში რუსის ერს მას ისტორიის სივრცეზე შემოქმედობის ნიჭი არ გამოუჩენია.

ფეოდალიზმი, რა თქმა უნდა, რუსეთში არ ყოფილა, და რუსეთის მაღალი წოდება, თავად-აზნაურობა... მაგრამ ამის შესახებ თვით რუსებს მოუსმინოთ. გამოჩენილმა სლოვიანოფილმა ნ. დანილევსკიმ დასწერა მთელი ტომი: „რუსეთი და ევროპა“, სადაც ამტკიცებს, რომ ევროპა ლპება და რუსეთმა უნდა ვანაახლოს ქვეყანა და კაცობრიობაო. რუსის ერთ დემოკრატიულია (დემოკრატიული რომ რუსულ ენაზე გადათარგმნოთ მუჟიკური იქნება), და რუსული არისტოკრატიზმი გადმოღებულია ინგლისელების ლორდებისაგან და ფრანგების მარკიზებისაგანაო. ამასვე ამბობს გენიოსი გეორგი ბრანდესი (იხ. გაზ. „Русь“ № 3 1905 წ.

შთამავლობით კი რუსეთის თავადები და საუკეთესო გვარის აზნაურები იყვნენ ან ყუბანელები ან გარუსებული თათრის ხანები. მაგალითად იუსუპოვი, რომელმაც შეირთო ცოლად იმპერატორი ალექსანდრე მესამის შვილის შვილი. უმდიდრესი და უპირველესი არისტოკრატი იყო მთელს რუსეთში, მისი წინაპარი ყოფილი ნოგაის ხანი.

ეხლა გადავსინჯოთ რუსის ერის კულტურული სიმდიდრე.

რუსებს თავი მოაქვთ თავიანთი პოეზიით და მდიდარი ლიტერატურით. მაგრამ ბელინსკი, რომელიც რუსების მიერვე ცნობილია, როგორც გენიოსი კრიტიკოსი, ამბობს: „როცა კითხულობ ჩვენს ლიტერატურას, გგონია, რომ კითხულობ ერთ და იმავე დროს ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს იტალიანურსა“. ბელინსკის დროს კი რუსებს ჰყავდათ უკვე თავიანთი უდიდესი პუშკინი, ლერმონტოვი და გოგოლი. ამას შემდეგ დაუმატა ვესელოვსკიმ: ჩვენი ლიტერატურა გადმოღებულია ევროპიდან, მაგრამ უფრო ხშირად ჩვენ ნაწერები სისაგან ვსესხულობდით, პირველ წყაროს კი ძვირად თუ დავწაფებივართ.

საქმე იმაშია, რომ ევროპის პოეზიამ და ლიტერატურამ გაუსწრო აღმოსავლეთისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფორმებასა და ტეხნიკის სიმდიდრით, ხოლო რუსეთში ყველაფერი ეს მიიღო ევროპიდან უშრომელათ. ყველა მიმართულებანი: კლასიციზმი, თუ ფსევდო კლასიციზმი, სანტიმენტალიზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, თუ ნატურალიზმი, ყველა ფორმები და იდეებიც იქმნებოდა ევროპაში და რუსეთი ეზიდებოდა იქიდან მზა-მზარეულს.

არქიტექტურაში რუსებს თავისი სტილი აქვთ, მაგრამ ის ისეთი ულამაზოა და ულაზათო, რომ არც ღირს მაგაზე ლაპარაკი;

რუსეთის ხელოვნური მუსიკაც მდიდარია, მაგრამ ან იტალიანური სკოლის მიბაძვაა, ან ვაგნერისა.

რუსეთის მხატვრობა გადმოღებულია ევროპის სკოლებიდან, მაგრამ ერთი სურათს ვერ ნახავთ ისე წმინდად და ლამაზად გამოხატულს, როგორიც სჩვევიათ ევროპიულ დიდ ოსტატებს.

რაც შეეხება ფილოსოფიას, თვით რუსებსაც არ სწამდათ თავისი ფილოსოფია. ევ. სოლოვიოვი ამბობს: ჩვენ არასოდეს არ გვქონია ნამდვილად არც ფილოსოფია, არც მეცნიერება და არც რელიგია, გვქონდა მხოლოდ სახარების მორალი, რომელიც პასუხს იძლეოდა ყველასათვის და ყველაფერზეო. ლ. ტოლსტოი მთელი თავისი სიცოცხლეს ცდილობდა, მაგრამ თავი ვერ დააღწია ქრისტიანული ცნებებსა და წარმოდგენებ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ევროპამ შექმნა მეცნიერება და ამაყობს იმითი. აწინდელი ცივილიზაცია არის ევროპის ცივილიზაცია და ემყარება ევროპის მტკიცე მეცნიერებას. მაგრამ რუსებმა ვერ შეითვისეს ეს მეცნიერება. მიუხედავათ იმისა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტმა ამ საუკუნის დამდეგს იდღესასწაულა 150 წლის იუბილე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში არსებობდა 11—12 უნივერსიტეტი, ამ უნივერსიტეტებში მეცნიერება არ არსებობდა; რუსეთის უნივერსიტეტი იყო ფაბრიკა დიპლომების და ხელეებისა და არა მეცნიერების ტაძარი, გამოჩენილი ქიმიკოსი მენდელეევი უდიდესი გენიოსი იყო; იმისი ბადალია ნიუტონი და პასტერი, შეიძლება მხოლოდ ლავუაზიე მიწვდეს მას, მაგრამ დიდი უმადურებას, ეს ბუმბერაზია მენდელეევი რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში არ შეუშვეს. ხრულებით სამართლიანად მენდელეევს მეცნიერებისათვის არაფერი შეუქმნია რა, გარდა თავისი სისტემისა, „ქიმიური ელემენტების სისტემა“, რომელმაც მას დაუმსახურა პირველ ხარისხოვან გენიოსის სახელი. მაგრამ არავის არ შეუქმნია თავისი სკოლა, ერთი მოწაფეც არ შეუძენია თავის სამშობლო მეცნიერებისათვის.

ზემოდ ხსენებული ევ. სოლოვიოვი ამბობს: თუ ჩვენი მსოფლმხედველობა იწყნარებდა ცოდნასა და განათლებას (ე. ი. მეცნიერებას), მხოლოდ ისე, როგორც სავალალო აუცილებლობას. ყველამ იცის, რა მედგრად სდევნიდა აგინებდა ლ. ტოლსტოი მეცნიერებას. ტოლსტოი იყო „უდიდესი რუსი“ ნამდვილი გამომხატველი რუსის გონებისა და მისი სულის უკვეთესობისა.

რაღა ქონდა რუსებს ერის ისეთი, რომ მას აძლევდა ამაყობის საბაბს.

დიდი იმპერია.

**ბ. ზ.**